ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 222
ოქტომბრის 18, პარასკევი 1902 წ.
1877

ივერია

№ 222
ოქტომბრის 18, პარასკევი 1902 წ.
1902

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

პირველ ოკდომბრიდან წლის დამლევამდე გაზეთი

„ივერია“

ღირს **სამ მანეთად** და **ათ შაურად** (3 მ. 50 კ.)

ამ ფულის შემოტანა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება.

ხელის მოწერა მიიღება:

ტფილისში:—„ივერიის“ რედაქცია (თავად-აზნაურთა ქარვასლა №№ 117 და 118) და ქ. შ. წერა-კითხვ. გამავრც. საზოგ. წიგნის მაღაზია (სასახლის ქუჩა, თავ.-აზნაურ. ქარვასლა).
ქუთაისში:—ბეჟანეიშვილის წიგნის მაღაზიასა და ნესტორ წერეთლის წიგნის მაღაზიაში.
ბათუმში: მ. ნიკოლაძის ჟურნალ-გაზეთების სააგენტოში.
ბაქოში:—ხიდდეკელის წიგნის მაღაზია (ნიკოლოოზის ქ., ქალანთარის ქარვასლის პირდაპირ).
ბალახანაში:—ალექსანდრე ალხაზიშვილთან.
ხონში:— ნესტორ წერეთლისა და ს. ბახტაძის წიგნის მაღაზიაში.
შორაპანში:—პართენ ნასიძესთან.
გორში: ანტონ კასრაძესთან.
განჯაში: ა. ი. ალხაზიშვილთან.

ცალკე ნომრები, ტფილისს გარეთ, იყიდება **ქუთაისსა** და **ხონში** ზემოხსენებულს წიგნის მაღაზიებში და **ბათუმში** ს. ჭელიძის წიგნის მაღაზიაში.

საფოსტო ადრესი: Тифлисъ, Редакція „Иверія“.

გაზეთი „ივერია“

გადავიდა საკუთრებად **„ივერიის“** ამხანაგობის ხელში

ამხანაგობამ უფლება ამ გაზეთის გამოცემისა შეიძინა ნოტარიუსის წესით დამტკიცებულ ხელ-შეკრულობით 6 აპრილს 1902 წ.

ამხანაგობაში მონაწილეობას იღებენ: თ. ამირეჯიბი, როსებ თადეოზის-ძე, დოქტორი ვაწაძე, სპირიდონ იოსების-ძე, დოქტორი გაბაშვილი, გრიგოლი დიმიტრის ძე, ღოღობერიძე, ნიკოლოოზ ბესარიონის-ძე, გოგებაშვილი იაკობ სვიმონის-ძე, გძელიშვილი გიორგი ივანეს-ძე, გუნცაძე ირაკლი ალექსანდრეს-ძე, თ. დიასამიძე, გრიგოლ ნიკოლოოზის-ძე, ჯაბადარი, ივანე სპირიდონის-ძე, მესხი, კონსტანტინე დავითის-ძე, მიქაბერიძე, ალექსანდრე ნიკოლოოზის-ძე, სარაჯიშვილი, ალექსანდრე ივანეს-ძე, დოქტორი ჩიქოვანი, ყარამან მანუჩარის-ძე და ყიფშიძე, გრიგოლ თეოდორეს-ძე.

ამხანაგობის თანხა განსაზღვრულია 15,000 მან., განყოფილი 1,500 პაით, 10 მან. თითო პაი.

ვისაც სურს შეიძინოს პაი, კეთილ-ინებოს და მიჰმართოს „ივერიის“ რედაქციას, რომელიც იმყოფება სასახლის ქუჩაზედ, თავად-აზნაურობის ქარვასლაში, №№ 117 და 118.

ამხანაგობის საზოგადო კრებაზედ ხმა აქვს მხოლოდ იმას, ვინც შეიძენს არა ნაკლებ ათის პაისა.

რედაქციაში შეიძლება მსურველმა მიიღოს ეგზემპლიარი ხელ-შეკრულობისა.

ს.-პეტერბურგის კომპანია „ნადეჟდა“

ზღვით, მდინარით და ხმელეთით გაგზავნილ საქონლის დასაზღვევად, ტვირთის გასაგზავნად და ქონებათა ცეცხლისაგან დასაზღვევად

დაარსებულია 1847 წელს.

ძირითადი თანხა	1.650.000 **მან.**
სათადარიგო თანხა	2.664,808 **მან.**

I. გაგზავნა ტვირთისა.

300 სააგენტოზედ მეტია ევროპიულ რუსეთის ყველა უმთავრესს ადგილას, კავკასიაში, შუა აზიაში, ციმბირში და შორეულ აღმოსავლეთად, აგრეთვე წარმომადგენელნი ჰყავს უმთავრესს ქალაქებში საზღვარ-გარედ.

კომპანია კისრულობს გაგზავნას და გადაზიდვას ყოველ-გვარ საქონლისა და ნივთისას, მიღებას და ჩაბარებას სახლში, საწყობსა და მაღაზიაში.

კისრულობს ჩაბაროს ბარგი გამგზავნთა მიერ აღნიშნულ პირობით (ფას-დადებით გამგზავნის ხარჯზედ, ფულის გაგზავნა დეპეშით საქონლის გაგზავნისათვის იქ, სადაც ბარგი და საქონელი უნდა იქმნას ჩაბარებული და სხ.).

მესხვა საქონლისა შეღავათიანის პირობით იმ დრომდე, ვიდრე პატრონს ჩაჰბარდებოდეს და დაზღვევა მისა საწყობში, რისთვისაც ბევრგან გვაქვს დიდნი საკუთარნი საწყობანი, განსაკუთრებით საქონლის შესანახად მოწყობილნი.

II. ნაოსნობა.

კომპანიას აქვს საკუთარი გემები, ზღვებსა და მდინარეში სავლელი ნავები (ბარჟები) პასაჟირებისა და საქონლისათვის, აგრეთვე საბუქსირო გემები (სულ 70 ნავი და გემი). ავლიანი მიმოსვლა პასაჟირთა და ზიდვა საქონლისა მდ. ვოლგას ყოველ ბაქან შორის, რიბინსკიდგან ასტრახანამდე და კასპიის ზღვის ყოველ პორტს შორის, ასტრახანიდგან სპარსეთის საზღვრებამდე.

უზარმაზარნი საწყობნი საქონლისა ნიჟნი-ნოვგოროდში (სიბირის ბაქანთან, ასტრახანსა, ბაქოსა და კრასნოვოდსკში).

III. დაზღვევის ოპერაციები.

ა) **დაზღვევა** საქონლისა, რომელიც გასაგზავნია როგორც ხმელეთით, ისე ზღვითა და არით
ბ) **დაზღვევა** ცეცხლისაგან ყოველგვარ ქონებისა.
გ) **დაზღვევა** ყოველ-გვარ ხიფათისაგან გზაში ნავთა ამა თუ იმ ნაწილისა, გემთა, ბარჟებისა ვაგონებისა და ვაგონ-ცისტერნისა.
დ) **დაზღვევა** განძისა, რომელიც გადასატანია ფოსტით ხმელეთით და ზღვაზედ მსოფლიო საფოსტო კავშირის ყველა ადგილას.

დაზღვევას კისრულობს როგორც გამგეობა ისე კომპანიის სააგენტონი ყველგან. სატრანსპორტო სააგენტოს გარდა, ცეცხლისაგან დაზღვევის ოპერაციას აწარმოებენ 350-ზედ მეტი განსაკუთრებით ცეცხლისაგან დაზღვევის სააგენტონი.

გამგეობა ს.-პეტერბურგის კომპანიის „**ნადეჟდას**“-ი ს.-პეტერბურგშია, ადმირალტეისკის პროსპექტზედ, სახლი № 10.

სანდო კაცნი და რწმუნებულნი: საზღვაო ნაოსნობის საქმეთათვის—ბაქოში, მდინარეთა ნაოსნობისათვის—ნიჟნი-ნოვგოროდში.

ტფილისის სააგენტო სასახლის ქუჩაზე, ქართველთა თავად-აზნაურობის სახლში. ტელეფონი № 108. (120—6.—39)

№ 7. ტელეფონი 617.

ქართული თეატრი

კვირას, 20 ოკდომბერს, 1902 წ.

დილის წარმოდგენა

ქართულის დრამატიულის საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება

დაკლებულის ფასებით

დილის 12 საათზედ

პირველად ახალი პიესა

I

შრომის ლუკმა

კომედ. 4 მოქ. ოსტროვსკისა, თარგ. ი. ყდოშვილის მიერ.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი: ნ. გაბუნია-ცაგარლისა, ოლ. ლეჟავა, ბ. რონელი.

ბ-ნნი: ვ. აბაშიძე, დ. აწყურელი, გ. გედევანოვი, ვ. გუნია, ი. ივანიძე, კ. მესხი, კ. შათირიშვილი, და სხვ.;

ადგილების ფასი: ლოჟები 4 მანეთიდან 8 მან.-დე, პარტერი 50 კ.-დგან 1 მ. 50 კ.-დე, ამფითეატრი 60 კ.-დან 1 მ. მდე, გალერეია 20 კ.-დან 35 კ.-მდე.

შეგირდებისათვის ადგილები 60 კაპ.

დასაწყისი შუადღის 12 საათზედ

მზადდება წარმოსადგენად „სტუმარი“ „ავადმყოფნი“ „პატიოსნება“ „უბედურ ვარსკვლავზე“.

თეატრის გამგეობა უმორჩილესად სთხოვს მაყურებლებს, პიესის მოქმედების დროს ტაშს ნუ დაუკრავენ და ნუ გამოიწვევენ ხოლმე მსახიობთ, რადგან უდროვო-დროს მოქმედების შეწყვეტა პიესას ახდენს და მსახიობთაც აკრძალული აქვთ მოქმედების დასრულებამდე გამოსვლა თავის დასაკრავად.

რეჟისორი **ვალ. გუნია.**

თავად-აზნაურობის თეატრი

ტელეფონი № 617.

დღეს, პარასკევს, 18-ს ოკდომბერს, ხარკოვის რუსულის ოპერის არტისტების მიერ წარმოდგენილი იქნება

ლაკმე

ოპერა 3 მოქმედებად, მუსიკა ლეო-დელიბისა.

მონაწილეობას მიიღებენ ქ-ნნი: ვან-დერ-ბრანდტი, არციბაშევისა, დიბრჟანსკისა, პეტროვისა, ბაუერი; ბ-ნნი ლენსკი, სუნცოვი, ჩემეზოვი, კაზიმირო, პეტროვი, სვობოდინი და სხ.

ბალეტს დაზდგამს **მენაბენი.**

კაპელმეისტერი ლ. პ. **შტეინბერგი.**

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

ხვალ, შაბათს, 19 ოკდომბერს, **ა. პ. ბონაჩიჩის** საბენეფისოდ წარმოდგენილ იქნება **პიკის ქალი** (Пиковая Дама).

გერმანის როლს შეასრულებს **ა. პ. ბონაჩიჩი.**

მზადდება წარმოსადგენად ოპერა „**მარგალიტთა მაძებარნი**“.

კასსა გაღებულია დილის 10 საათ. 3-მდის და საღამოს 6-დამ წარმოდგენის გათავებამდე.

გამგებელი სახელოვნებო მოკაზმულობისა **ივ. ფითოევი.**

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

უ. მ. ჩიქოვანი. 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა, ნერვებისა და შინაგანის ავადმყოფისა.

მ. ბ. ავეტისიანცი. 10—11 საათამდე კანისა, ვენერიულ და ხირურგიულ ავადმყოფობისა.

ი. ბაბანასოვი. დილის 11—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

ქ. ი. ბძელიშვილი. 12—1 საათ. ყელისა, ყურისა და ცხვირის ავადმყოფობანი.

ბ. ა. თარხანოვი. 1—$1\frac{1}{2}$ საათ. შინაგანისა და ბავშვებისა ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

ა. პ. კარაპეტიანცი. 1—$1\frac{1}{2}$ საათ. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

საღამოობით:

ა. ნ. შპაკოვსკი. 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტეპარია) შინაგანისა, ვენერიულ და კანის ავადმყოფობისა.

ბ. ა. თარხანოვი. 7—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

ბ. ა. ნავასარდიანი. $7\frac{1}{2}$—8 ს.

ს. ტ. არვანიტაკი. 11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница д-ра Навасардіана. Тифлисъ, противъ памят. Ворон. (წლ.

ტფილისის კერძო სამკურნალო

ბედევანიშვილისა

კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21, ავჭალის ქუჩის დასაწყისში.

ტელეფონი № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:

პ. ი. ჭიჭინაძე—კბილის სნეულებანი, 8—10 საათამდე, სამშაბათს ხუთშაბათს და შაბათს.

ნ. ტ. მულინი—ყელისა, ყურისა და ცხვირის სნეულ. 9—10 ს.

ვ. დ. ლამბაშიძე—შინაგანი: 9—10.

ბ. ზ. მაღალაშვილი—შინაგან. სამშაბათობით ხუთშაბათობით და შაბათობით, 10—11ს.

კამოევი.—საშარდეს (ხირურგიული) ავადმყოფთათვის: სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით 10 საათიდან 11—მდის.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—11 საათ.

ქ. მ. ელიოზიშვილი—შინაგან და ბავშვების ავადმყოფობათა, 11—12 ს.

დ. ა. ბედევანიშვილი—შინაგან, ნერვებითა და ლექ ტროტერაპია 12—1 ს.

ა. ზ. ბარსუკოვი—დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით, 12—1 საათ.

ვ. მ. მანსვეტოვი—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა—სამშაბათობით და პარასკევობით 1—2 ს., კვირაობით 9—10 ს.

ფრ. ვ. სოზოლევსკი—დოსტაქრობა და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 1—3 საათ.

ზ. მ. ამზარდანოვი—ათაშანგისა, კანისა და საშარდესი, 1—2 ს.

საღამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი, 5—6 საათ.

ა. ზ. მაღალაშვილი—შინაგან, ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 სათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლ.)

რჩევა-დარიგება 50 კ., ოპერაციები მორიგებით, კრაოტები3 მან. 5 მანეთამდე. (წ.)

ექიმი ალ. მაღალაშვილი

მიხეილის ქუჩა, 30. ტელეფონი № 450

იღებს ყოველ-დღე შინაგანისა და საბავშვო სნეულებით ავადმყოფებს დილის 10—1-დე და საღამოთი 6—8-დე. წლ.

კბილის ექიმი

ივანე პავლეს ძე

ახალშენიშვილი

იღებს ყოველ დღე კბილის სნეულებით ავადმყოფებს დილის 8—10 საათ. და 11—2-მდე, ხოლო საღამოობით 5—7-მდის.

კვირა-უქმე დღეებში 9—2-მდე და საღამოთი 5—7. ელისაბედის ქუჩა (კუკიაში), სახლი № 38. (წლ.)

ტფილისი

◆ გუშინ მისმა მეუფებამ მაღალ-ყოვლად-უსამღვდელოესობამ ეგზარხოსმა ალექსიმ, თავისსე კკლესიაში, ტფილისის სამღვდელოთა თანამწირველობით, სწირა და შემდეგ პარაკლისი გარდაიხადა აწ განსვენებულ ხელმწიფე იმპერატორ ალექსანდრე მე-III-ის მოსალოდნელ განსაცდელისაგან სასწაულებრივ გადარჩენის სახსოვრად; წირვას და პარაკლისს დაესწრნენ კავკასიის მთავარ-მართებელი თავ. გოლიცინი, მისი თანაშემწე ფრეზე, გენერლობა, სახელმწიფო და სამოქალაქო დაწესებულებათა უფროსნი და წარმომადგენელნი და მრავალი ხალხი.

◆ დიდი ხანია, ტფილისში ხმა იყო, რომ კავკასიაში სწავლა-განათლების მზრუნველი ბ-ნი ზავადსკი გადაჰყავთ კავკასიიდანაო. ეს ხმა როგორც ეტყობა, მართლდება „Нов. Об“-ეს გუშინდელს ნომერში დაბეჭდილია, რომ პეტერბურგიდან მოსულ ცნობით, ბ-ნი ზავადსკი გადაჰყავთ ყაზანის ოლქის მზრუნველადაო.

◆ კვირას, 20 ოკდომბერს, დრამატიულ საზოგადოების კანტორაში დანიშნულია ქართულ დრამატიულ საზოგადოების მიერ შემდგარ წევრთა კრება, რომელსაც მინდობილი აქვს საპრემიოდ წარმოდგენილ პიესების დაფასების საქმე. ამ კომისიაში მოწვეულნი არიან 16 კაცი, მათ შორის აკაკი წერეთელი და ილია ჭავჭავაძე.

◆ გუშინ ქალაქის გამგეობის სამხედრო საკრებულოში ქალაქის თავის, სამხედრო უფროსისა და ექიმების თანადასწრებით ხელ-მეორედ შეამოწმეს სია იმ ყმაწვილ კაცთა, რომელნიც 1900 და 1901 წლებში დროებით განთავისუფლებულნი იყვნენ სამხედრო სამსახურიდგან სხვა-და-სხვა მიზეზებისა გამო.

◆ დღეს, 18 ოკდომბერს, ყველგან რუსეთსა და საქართველოში შეიძლება მცხოვრებმა თვალი ადევნოს მზის ერთის ნაწილის დაბნელებას; დაბნელება დაიწყება, როგორც მოხსენებული გვქონდა, დილის ათის საათიდგან და თითქმის თერთმეტამდე გასტანს.

◆ დღეს, 18 ოკდომბერს, გუბერნატორის თავმჯდომარეობით შესდგება ტფილისის საქმეთა საგუბერნიო საკრებულოს სხდომა, რომელსაც განსახილველი აქვს შემდეგი საქმეები: 1) ტფილისის სახელოსნო მმართველობაში მოსამსახურეთა პასუხგებაში მიცემა სიყალბისა და უწესოების მოქმედებისათვის სამსახურის აღსრულების დროს; 2) დამატებითი ხარჯთ-აღრიცხვა ტფილისისა 1902 წლისა; 3) ქალაქის საბჭოს დადგენილება შესახებ 30 ათასი მანათის გაცემისა საგანგებო თანხიდგან ტფილისში ხორცის დუქნების დასაარსებლად; 4) ამავე საბჭოს დადგენილების შესახებ ტრაქტირების გამართვის ნება დართვისა; 5) ქალ. სიღნაღის რწმუნებულთა დადგენილება მცხოვრებთათვის სახლებში მიტანილ წყლის ნიხრის დასაწესებლად; 6) ამავე ქალაქის რწმუნებულთა დადგენილება ქალაქის ეტლების ნიხრისათვის; 7) საძოვარი ნიკოლოოზ კობიაშვილისა დუშეთის რწმუნებულთა დადგენილებაზედ, რომლითაც პასუხგებაში აძლევდნენ ქალაქის თავად ნამყოფს კობიაშვილს ქალაქისა და სახელმწიფო ფულის გაფლანგვის თაობაზედ; 8) ქალ. ახალქალაქის რწმუნებულთა დადგენილება, რომლითაც იგინი ძირითადის თანხიდგან თხოულობენ 1155 მანეთს ქალაქის საყასბოს შენობის ასაგებად; 9) გეურქა აივაზოვის საჩივარი პურის მცხობლების უფროსის არჩევნებზედ; 10) პასუხი ინჟინერთა დისტანციის უფროსისა შესახებ გამგეობის დადგენილების გაუქმებისა იმაზედ, რომ კერძო სახლის პატრონებს შეეძლოთ სახელმწიფო არხებში უწმინდურობის ჩაშვება; 11) განხილვა იმ საგნისა, თუ ტფილისის გუბერნიის ყველა ქალაქის მოსახლე რა ნაწილს უნდა იხდიდეს ქალაქის საქმეთა საკრებულოს მდივნის და კანცელარიის შესანახ ხარჯად. ამ საქმების განხილვაზედ დასასწრებლად მოწვეულია ტფილისის ქალაქის მოურავის თანამდებობის აღმასრულებელიცა.

◆ ტფილისის იაფ სასადილოების საზოგადოების გამგეობამ მიჰმართა ქალაქის გამგეობას და სთხოვა, რომ ქალაქმა უფასო და იაფ-სასადილოების დასამართავად გადასდოს ფული ყოველ-წლიურ შემწეობად.

◆ ამ წლის პირველ იანვრამდის ქალაქში უძრავ მამულებზედ სახელმწიფო და საერო გარდასახადი ირიცხებოდა 214,577 მან., ამ

თვის პირველამდე ტფილისის პოლიციას ამ ფულიდგან აუკრეფია 109,791 მ. 96 კაპ.

◆ ამ ჟამად ტფილისის გამგეობას თავისუფალი აქვს ლორის-მელიქოვის სახელობაზედ უნივერსიტეტში დაარსებული ერთი სტიპენდია; ამ სტიპენდიის დანიშვნა შეუძლიან მხოლოდ ქალაქის საბჭოს. ჯერ-ჯერობით ამ სტიპენდიის მსურველნი რვანი აღმოჩენილან, რომელთაც მიურთმევიათ თხოვნა საბჭოსთვის; თხოვნის მიღება ჯერ კიდევ შეიძლება იმ დრომდე, ვიდრე ცალკე არ იქმნება გამოცხადებული, რომ თხოვნების მიღება აღარ შეიძლებაო.

◆ დღეს, კავკასიის სამეურნეო საზოგადოების წევრთა კრებაზედ ბ-ნი ტიმოთეევი წაიკითხავს მოხსენებას დაბალ სამეურნეო სასწავლებლების დამართვის შესახებ სოფლებში.

◆ კვირას, 20 ოკდომბერს, პირველ დედათა გიმნაზიის სადგომში დანიშნულია მასწავლებელ და აღმზრდელ ქალთა საზოგადოების წევრთა კრება.

◆ წელსა სრულდება 30 წელიწადი მას შემდეგ, რაც დაარსდა მოსკოვში აღმოსავლეთ ენათა ლაზარევის ინსტიტუტის სპეციალური კლასები უმაღლესის ნებართვითა. ამ ამბის გამო დღესასწაულის გადახდა ინსტიტუტის საბჭომ დაჰნიშნა იმ დღეს, როცა ინსტიტუტის წლიური აქტი იქნება, ესე იგი 24 ოკდომბრისათვის.

◆ ჩვენ მოგვივიდა ჟურნალ „მოგზაურიდამ" გადმობეჭდილი პატარა წიგნაკად შემდეგი იაფფასიანი გამოცემანი: „წერილი სოფელ მუშას", ტ. ართმელაძისა. „დიფტერიტი" ი. ალხაზიშვილისა „მეცნიერების დედა აზრი"ა კვერკველაძისა და „ძველი რწმენა წარმოდგენები და მეცნიერება". ა. კვერკველაძისავე. ამ წიგნაკებს აწერია ზემოდან: სტეფანე კონსტანტინეს ძის ზუბალაშვილის სათვასათ გამოცემულია.

—

კერძო კრება კავკასიის ფარმაცევტებისა. 12 ოკდომბერს მოხდა კერძო კრება კავკასიის ფარმაცევტთა. თავმჯდომარეობდა ფარმაცევტთა საზოგადოების თავმჯდომარე ბ-ნი ი. ალხაზიშვილი; კრებაზედ დამსწრემ ბ-ნმა სარქისოვმა სთქვა, მომეტებული ნაწილი აქ დამსწრეთა საგანგებო ბარათებითა ვართ მოწვეულნიო და რა მიზეზია ჩვენის აქ მოსვლისა, რისთვის დაგვპირდით, და ან თუ საჭირონი ვიყავით, ამ 8—9 თვის განმავლობაში რატომ არ გვგონდებოდით, რომ ერთხელ არც კი გვაღირსეთ კრების დანიშვნაო. ჩვენს საზოგადოებას სხვა მაღალ აზრთან ერთად, ის დანიშნულებაცა აქვს, გამოიკვლიოს თვისთა დამფუძნებელთა და წევრთა მდგომარეობა, მოუსმინოს ყველას თავისი გაჭირვება და თუ შესაძლებლად სცნობს, აღმოუჩინოს დახმარება; ჩვენ-კი ამ ხნის განმავლობაში ამას მოკლებულნი ვიყავით, ამისთანა კეთილ სიტყვასაც-კი ჩვენ მიერვე დაფუძნებულ საზოგადოებისაგან; განა უნდა ვის შესჩივლოს ფარმაცევტმა თავის გაჭირვება, თუ არა საზოგადოებას, სასურველია, გავიგოთ და მოვითხოვოთ, რათ იყო ამ 8—9 თვეს საზოგადოების კარი ჩაკეტილი და ან რატომ ერთხელ მაინც არ მოაგონდა მას თავის მოვალეობაო.

ბ-ნმა თავმჯდომარემ მიზეზად ყოველისავე იმისა, რაც სარქისოვმა განაცხადა, საბუთი დაასახელა და მის დასამტკიცებლად დამსწრეთ წაუკითხა ვრცელი მოხსენება შესახებ საზოგადოების მდგომარეობისა. ბ-ნმა ალხაზიშვილმა თავის მოხსენებაში აღნიშნა ამა საზოგადოების თორმეტის წლის არსებობა და მისი მოღვაწეობა და ის ფრიად საყურადღებო მოვლენა, რომ ამ უკანასკნელ წლებში საზოგადოების წევრთა რიცხვმა შესამჩნევად იკლოვო, აფთიაქებში მოსამსახურე პროვიზორები და მათნი თანაშემწენიც გვერდს უვლიან მათგანვე დაარსებულს საზოგადოებასაო, ასე გაშინჯეთ, ამ ჟამად მხოლოდ თორმეტი კაცია აფთიაქებიდგან ჩაწერილი საზოგადოების წევრად, როცა ქალაქის აფთიაქებში მოსამსახურეთა პროვიზორებისა და მათ თანაშემწეთა რიცხვი აღემატება ასს კაცსაო. თავმჯდომარემ, ბ-ნმა ალხაზიშვილმა აღნიშნა რა საზოგადოების მდგომარეობა, მიმართა დამსწრეთ და სთხოვა, გვიჩვენეთ საშუალება, რომლითაც შეიძლებოდეს საზოგადოება დავიხსნათ დაღუპვისაგანაო, დაგვეხმარეთ და ვეცადოთ კვალად ფეხზედ დავაყენოთო.

ერთმა კრებაზედ დამსწრეთაგანმა მიმართა თავმჯდომარეს: ჩვენ ბედნიერნი ვართ, რომ სულაც არ გამოგვეცალა ჩვენ მიერ დაარსებულ საზოგადოება ხელიდგან ამდენის ხნის განმავლობაში, რადგანაც ესეც მოსალოდნელი იყოვო. უფრო ბედნიერად ჩავთვლით ჩვენს თავს, თუ ჩვენის დახმარებით საზოგადოებას ეშველება რამე და განსაცდელისაგან დავიხსნითო; განა საზოგადოების გამგეობას გადაწყვეტილი ჰქონდა, რომ ჩვენ ამ საზოგადოებაზედ გულ-აღმორეცხილები ვიყავით და აღარ ვუშველიდით? არა, ეს შემცდარი აზრი იქნება; თუმცა კი ჩვენი უკმაყოფილება უსაფუძვლო არ არის; ჩვენ ბევრი გაჭირება და ჯაფა გავწიეთ, სანამ საზოგადოებას დავიარსებდით და ამ ჯაფას იმიტომ ვწევდით, რომ შეგვექმნა იმისთანა რამ დაწესებულება, რომლისათვისაც შეგვძლებოდა და შეგვეჩივლა ჩვენ მიერ ატანილ და ჩვენზედ მოვლენილი უსამართლობა. ნუ-თუ ჩვენ ხალხნი არავართ და გაჭირება არა გვაქვს? ყოველ დღე 14 საათი აფთიაქში მუშაობა, ნუ-თუ ეს გაჭირება არ არის, მაგრამ ამას თავი დავანებოთ, ახლა იმაზედ ვილაპარაკოთ, რა საშუალებას შეუძლიან გამოაბრუნოს საზოგადოება სასიცოცხლოდ; ჩემის აზრით, მისი ხსნა მისისავე ზნეობრივ მოვალეობის აღსრულებაშივეა; საზოგადოებამ უნდა დაიმსახუროს წევრთა ყურადღება, იგი უნდა განსჯიდეს და იკვლევდეს მათს ბედსაც და უბედობასაც, რადგანაც ჩვენ ზნეობრივ და ქონებრივ კეთილ მდგომარეობაზეა დამოკიდებული საზოგადოების არსებობაცა.

იგი ჩვენგნით არის დაარსებული და ჩვენთვის არსებობს და არა ჩვენ მისთვის. ეს, თუ გნებავთ, ისე გაიგეთ, როგორც ანდაზა ამბობს: როგორიც მღვდელიო, ისეთი ერიო; საზოგადოებას რას ვაქნევ, თუ არ მოქმედობს, გამოურკვეველ ბურანშია გახვეული, ან თავის მოქმედება რაღაც მოკლე ფარგალში ჩაუყენებია და იმას ჰფიქრობს, რა იამებათ მეაფთიაქეებს და რა არაო; ამისთანა მოქმედებას ეი ეს შედეგი მოჰყვა, რომ დღეს საზოგადოებას უფსკრულამდის მიუღწევია. იმედია, შემდეგში საზოგადოება თავის მოვალეობას პირნათლად აღასრულებს და მაშინ-კი არ დაგვიძახებენ შემთხვევით, როცა გაუჭირდებათ, არამედ მუდამ ვეხსომებით და მუდამ ეხსომებათ ჩვენი ყოფა-ცხოვრებაც. უფრო სავალდებულო-კია საზოგადოებისათვის, რომ მისი სინათლე ყველასთვის თანაბრად ანათებდეს, როგორც მზისა და მთვარის სხივები და მისი ეხო ერთ მხრივ არა სთლიდეს; მხოლოდ ამ შემთხვევაში ყველა ჩვენგანი მოვალედ ჩასთვლის თავს, ყოველივე ღონისძიება იხმაროს საზოგადოების საკეთილ-დღეოდაო.

ბ-ნმა თავმჯდომარემ, ი. ალხაზიშვილმა დასძინა, რომ საზოგადოების ამ ნაირ მდგომარეობაში არსებობა შეუძლებელიაო და თუ მის კეთილ-დღეობა იმაზედ არის დამოკიდებული, რომ აფთიაქების პატრონებსა და მათს მოსამსახურეთა შორის უკეთ უნდა მოეწყოს დამოკიდებულება, უნდა ვიღონოთ რამ, რომ მათს შორის სასურველი დამოკიდებულება არსებობდესო.

კრებას სამოცამდე აფთიაქში მოსამსახურე, პროვიზორი და მათი თანაშემწენი დაესწრნენ და ნაშუალამევის 12 საათ. დაიშალნენ.

თავმჯდომარემ გამოუცხადა ყველას, რომ ამ მოკლე ხანში დაინიშნება საზოგადოების კრება და ახლავ გთხოვთ უმორჩილესად, ნუ დაიზარებთ მოსვლასაო.

ჩვენებური ამბები

სოხუმში კარგი მოსავალია სიმინდისა. ამის გამო სიმინდის ფასს დაუწევია იქ 40 კაპიკამდე.

კაკი (ზაქათ. მაზრა). ამ წერილში მოგახსენებთ, რა საშუალებას ხმარობენ დღეს ინგილო ქართველები ქურდობის წინააღმდეგ. ქურდობა უწინდელ დროში ვაჟკაცობად მიაჩნდათ. ქურდობით ე. ი. ჰირით ინგილოები ჰირს იცილებდნენ; დაეცემოდნენ ქურდულად მეზობელ მტერს და ანადგურებდნენ. ამ საშუალებით ისე დააშინეს ამათ თავიანთი მტრები, რომ ეხლაც აქ გაიგონებთ: „თუ ან ლეკის, ან თათრის ქურდებისა გეშინიან, ინგილოს სთხოვე ქუდი, ჯოხზედ ჩამოაცვი, შენი სახლის წინ დაარჭე ეს ჯოხი და თათარი ისე მოგერიდება, როგორც ურია ღორის ხორცსაო". მართლადაც, დღეს ასე არის: სადაც-კი ინგილოს ხსენებაა, იქ თათარი და ლეკი ვერ გაბედავს ავ-კაცობას. ქურდობის მოსასპობად ურთიერთ შორის ინგილოებს შემდეგი ჩვეულება აქვთ: თუ ვინმემ ვიზედმე ეჭვი მიიტანა, მავანმა საქონელი მომპარა და ან სახლი დამიწვაო, მოჩივარს სასამართლო მოწმებს-კი არა სთხოვს, არამედ დაიბარებს მოპასუხესაც და მოჩივარისაც. თუ მოპასუხემ სთქვა, ეს ქურდობა მე არ ჩამიდენიაო, თავისი სიმართლე უნდა დაამტკიცოს ოთხი კაცის ფიცით და ამ კაცებს-კი მოპასუხე არ ირჩევს, არამედ მოჩივარი. ამ ოთხმა კაცმა უნდა ეკკლესიაში მიიღონ ფიცი და მით დაამტკიცონ, მოპასუხე ამ საქმის ჩამდენი არ არისო და ამით დაიხსნან იგი სასჯელისაგან. თუ ვინიცობაა ამ ოთხ კაცში ერთმა მაინც არ დაიფიცა, მაშინ მოპასუხე ცნობილი ხდება ქურდად.

გ. ფარადაშვილი.

—

ბათომი. ჩვენი ბათომი სწორედ ქუჩის აბლაკატების ბუნაგად გადაიქცა! ქვა რო გაისროლოს კაცმა, ამ ვაჟბატონებს მოხვდება ისრე მრავალნი გახლავან აქ. რა უნდათ ბათუმში ამათ? როგორ თუ რა უნდათ? სააბლაკატო საქმეები აქ ბევრია, ნამეტურ სადავო ადგილებისა და ესენიც ხომ ამისთანა სადავო საქმეებისათვის არიან გამოსადეგარნი. აი, აქ მოგახსენებთ ერთ ამბავს: ქალაქ ბათომში მცხოვრებს ერთს ბერძენს, სტილიან სევასტოპულოს 1889 წელს უყიდნია ერთი კაცისაგან 500 ოთხკუთხი საჟენი მიწა, ღირებული 7—8 ათას მანეთად, რომელიც ამ ხნის განმავლობაში იჯარით გაცემული ჰქონია სპარსელ მუშებზედ; ამ ადგილში ბალბოსტანს აშენებდნენ და იჯარას აძლევდნენ სევასტოპულოს.

ერთ თფილისელ სომეხს თავის ცოლისათვის ვექსილი მიუცია 1500 მანეთისა; ეს კაცი გადაცვლილა აგერ ოთხი ხუთი წლის წინად, ცოლს-კი ვექსილი წარუდგენია სადაც ჯერ არს, აღმასრულებელი ფურცელი აუღია და ბათომში ნაცნობებისათვის დაუვალებია, ხომ ჩემს ქმარს ბათუმში არა დარჩენია-რა ან უძრავი ან მოძრავი ქონება-მამულიო. ეს ამბავი გაუგია ერთს ბათუმელს აბლაკატს და ის ქალი დაუბარებია თბილისიდან ბათუმში. ქალი ჩამოსულა და აბლაკატისთვის წარუდგენია „ლისტი" 1500 მანეთისა. აბლაკატს ეს ქალი და ბოქაული წაუყვანია სევასტოპულოს მამული აუწერინებია ბოქაულისათვის. ადგილი საჯარო ვაჭრობაში ჩაუგდიათ და მის გასყიდვის შესახებ განცხადება სამოსამართლოს კარებზედ გაუკრავთ. ამ დროს შემთხვევით, სევასტოპულოს შეუტყვია, რომ მისი საკუთარი მამული იყიდებაო, უთხოვნია მოსამართლისთვის თხოვნით, რათა გადაიდვას ვაჭრობა. მოსამართლეს ყურადღება არ მიუქცევია. ვაჭრობა მოხდა და სევასტოპულოს ადგილი ივანე კაკაბაძემ 700 მანეთში დაინარჩუნა. მხოლოდ ბოქაულმა გამოუცხადა, ეს ვაჭრობა დაირღვევა, რადგან სადაოთ გახდაო. სევასტოპულომ საჩივარი შეიტანა ოლქის სასამართლოში.

ქურთაველი.

—

ზემო-იმერეთი. ყოვლად სამღვდელო იმერეთის ეპისკოპოსის ლეონიდის რევიზია ზემო-იმერეთში. როგორც მკითხველებს მოეხსენებათ, ყოვლად სამღვდელო ლეონიდმა თავის ეპარქიის ეკკლესიების რევიზია დაიწყო 26 მაისს და დღესაც ეს რევიზია არ დასრულებულა.

ყველასათვის ცხადია, რომ ეგეთი ხანგრძლივი მოგზაურობა ძნელია და თითქმის აუტანელი, მაგრამ მათის მეუფების მტკიცე ხასიათმა ყოველ დაბრკოლებას სძლია. სძლია მისთვის, რომ თვით მათს მეუფებას კარგად ესმოდა, რა შედეგიც ექნებოდა ამ რევიზიას სამღვდელოებისა და საზოგადოებისათვის.

სწორედ მოციქულებრივის თავ-გამომეტებით და უანგარო სიყვარულით შეასრულა მათმა მეუფებამ პირდაპირ თვისი დანიშნულება და მოვალეობა. ზემო იმერეთში ბევრი სოფელი მისთანა იყო, რომ ოცი-ორმოცის წლის განმავლობაში არც-კი ჰღირსებოდა მღვდელ-მთავრის რევიზიას და ხილვას; ბევრნი მისთანა სამღვდელონიც იყვნენ, ათი წელიწადი და მეტიც არ ეხილათ არც ერთი მღმდელ-მთავარი.

უმეტეს ნაწილად მათ მეუფებას ხვდებოდა ცარიელი ეკკლესიები, გარდა კედლებისა მათში არაფერი მოიპოვებოდა, არც მხატვრობა და არც არავითარი სამკაული. ამ ნაკლულევანებათა ისე შეჩვეულნი იყვნენ მღვდელნიც და ერნიც, თითქმის აღარც-კი ჰფიქრობდნენ, რომ ამ ნაკლს შევსება უნდაო. ბევრი სოფელი მოკლებული იყო მხნე და პატიოსან მოძღვარს.

ყველა ამ ნაკლულევანებას მიაქცია მათმა მეუფებამ ყურადღება და არ დაუტოვებია არც ერთი ეკკლესია დაუთვალიერებელი, არ დაუტოვებია არსად ხალხი, რომ ყველასათვის შესაფერი დარიგება არ მიეცა და მოძღვრება არ ეთქვა. ბევრს ეკკლესიაში ალკრძალულ იქმნა მღვდელ-მოქმედება. ამ ნაი-

ფელეტონი

ორი მტრედი

(ვუძღვნი ელიკოს და კატოს).

დამოყვრდნენ და დაძმობილდნენ
ერთმანეთთან ორი მტრედი:
გაიერთეს სიკვდილამდე
მომავალი სვე და ბედი.

—

ალთქმა დასდვეს ერთმანეთში,
გული გულში გაუყარეს
და სასიკვდილ-სასიცოცხლოდ
მეგობრობა აღიარეს.

—

აღარც სვამდნენ, აღარც სჭამდნენ
ცალ-ცალკე და არც ეძინათ!
გადაიქცნენ ერთმანეთის
ოცნებათა და გულის თქმათ.

—

ნეტავი მათ! რაღა სჯობდა,
კაცმა რომ სთქვას მათ ცხოვრებას?!
გულში რაღათ გაივლებდნენ
ერთმანეთის მოშორებას?

—

მაგრამ დახეთ ამ ჭრელ სოფელს,
მაცდურსა და მოუსვენარს!..
ზოგჯერ ეკლით მწარედ მჩხვლეტელს,
ზოგჯერ ია ვარდის მფენარს!..

—

არ ატარებს არც ერთს სულდგმულს
მის სურვილსა და ნებაზე,
არ აყენებს მუდამ ერთსა
და იმავე გუნებაზედ...

—

და ჩვენს იმ ერთ მტრედთაგანსაც
ერთხელ გული შეეცვალა
და ნადები გულში ძრახვა
მეგობარს ვერ დაუმალა.

—

გამოუტყდა, შენთან ყოფნას
მირჩევნია რაღამეო?
მაგრამ ერთი სურვილი მკლავს
რაღა დღე და რა ღამეო.

—

გადავყევი მაზედ ფიქრებს
გადიდებულს ჩემ ხელადო
და მოხიბლულს აღარა მაქვს,
ჩემი თავი ჩემ ხელადო.

—

მინდა ერთი ან ორი დღით
გავემგზავრო, გავფრინდეო,
მაგრამ, ვაი, თუ ამ გაყრით
შემიწუხდე... შეშინდეო?

—

მე სულ მალე დავბრუნდები,
გაძლევ ამის სიტყვასაო!
მხოლოდ ერთ თვალს გადავავლებ
მთელ ხმელეთსა და ზღვასაო.

—

ვნახავ ყოველ გვარ სანახავს,
რაც გასაკვირვალიაო!
ქვეყნის ცოდნა და შესწავლა
ყველასათვის ვალიაო.

—

დავბრუნდები, მოგიყვები;
შენც გაიგებ ყოვლიფერსო,
მერე დავჯდეთ ისევ ერთად,
„მადლი ღმერთს და ფერი ფერსო"!

—

არ იამა ამ სიტყვების
გაგონება მეგობარსა;
გაყვითლდა და დაემსგავსა
ფერ მიხდილი ცოცხალ მკვდარსა.

—

უთხრა: ეგ რა გიფიქრია
რაღაც საჭირ-ბოროტოვო?
მე აქ დავრჩე, შენ იქ იყო...
მეც მარტო და შენც მარტოო?

—

ნურც შენ იტკენ, ნურც მე დამწყვეტ
უბრალოზედ, ძმაო, გულსო!
თავიდამვე სიფრთხილე სჯობს
ბოლოს ურგებ სინანულსო.

—

ტკბილადა ვართ ჩვენ ბუდეში,
შევლულუნებთ ერთმანეთსო
და უბრალო ახირებით
გავარისხებთ მაღლა ღმერთსო!

—

ეს ქვეყანა სახიფათო
არ დაგაყრის შენც ხეირსო:
უცბად ან აქ, ან იქ, სადმე
გადაგკიდებს რამე ჭირსო.

—

ან გრიგალი დაგიბერავს,
მიგახლის ქვას და ხესაო,
ან მოგისევს ქორ-მიმინოს,
ან დაგიგებს მახესაო.

—

და თუ მაინც აღარ იშლი,
მოუცადე გაზაფხულსო!
და ამ დამლევ ზამთრის ბოლოს
თავს ნუ ანდობ განზრახულსო.

—

მით უფრო, რომ, აი, გესმის?
ყვავი თავზე დაგვჩხავისო
და ეს ცხადი ნიშანია,
რაღაც ცუდის და ავისო!

—

ბევრი უთხრა ამგვარები
გულ-დამწვარმა მეგობარსა,
მაგრამ იმან ის სიტყვები
გაატანა ნიავქარსა.

—

აღარ დაცდა... აღარ იქნა!..
გადაკოცნა მეგობარი...
ირაო ჰკრა ცის ლაჟვარდში,
გადიარა მთა და ბარი!..

—

მაგრამ დახეთ უბედობას!
არ დაუდგა კარგი დარი:
პირველ დღესვე მოიღრუბლა,
ამოვარდა ცივი ქარი.

—

დაიელვა... დაიქუხა,
წვიმა მოჰყვა თან შხაპუნა
და საბრალო მოგზაურიც
შეაშინა... შეაძრწუნა.

—

გაილუმპა, გაიწუწა.
აფარფატდა ცუდათ მტრედი!..
საძრახობა ელოდა,
მაგრამ კიდევ კაი ბედი,

—

რომ მახლობლად იდგა მუხა
თავი იმას შეაფარა!..
და ავდარმაც იმავე დროს
ასე უცბად გადიკარგა.

—

ჩადგა ქარი, საოცარი,
მზემაც გამოიჭიატა,
მოიბრუნა მგზავრმაც სული,
ღონეც ისევ მოემატა.

—

გამოფხიზლდა თვით ბუნებაც,
თითქოს პირი დაიბანა
და სამგზავროთ იმ უბედურს
გული ისევ აეფხანა.

—

და გასწია!.. არ დაბრუნდა.
გადალახა ზღვა და ხმელი.
მაგრამ, როგორც ხორც შესხმულსა,
მოენატრა-კი საჭმელი.

—

და მშიერი გამალებით
საკენკს სადმე დაეძებდა;
კუჭ ამწვარი მხოლოდ თვალებს
აქეთ-იქით აცეცებდა.

—

დაინახა მან ხორბალი
ერთგან მიფიანტ-მოფანტული;
წაიტყუა მსუნაგობამ
და შეექმნა პურზე გული.

—

დაეშვა და ზედ დააჯდა,
მაგრამ თურმე მახე იყო,
და ხაფანგმა რომ ისხლიტა,
შიგ ფეხი-კი ამოიყო!

—

მისი ბედი, რომ შიგ გაბმულს
ვერ მიუსწრეს და ვერ ნახეს!
იფართხალა!.. იფართხალა
და გადურჩა ისევ მახეს;

—

მაგრამ რაღა გადარჩენა!
ერთი ის, რომ იღრძო ფეხი
და მეორეც—ჭირი ჭირს სდევს
და მოჰყვება მეხსვე მეხი.

—

რომ აფრინდა, ქორი დახვდა,
შურდულივით მიაშურა;
ჰკრა ბრჭყალები, მოიმწყვდია
კლანჭებში და მთლად გასწურა.

—

წკიპზე იყო მისი საქმე,
მაგრამ აქაც ისევ ბედი...
ქორს არწივმა დაუქროლა,
და გავარდა შიშით მტრედი.

—

გულ გახეთქილს, ფეხ მოტეხილს
აღარ დარჩა მეტი ძალა,
აკვანქალდა. როგორც იქნა,
ღობის ძირში მიიმალა.

—

მაგრამ ბავშმა დაინახა,
შორიდგან ქვა მიაყოლა,
მოხვდა ფრთაზე და კინაღამ
ხორცს სულიც თან გააყოლა.

—

მაშინ-კი სთქვა: ჰე, მეყოფა
მე ეს უბედურებაო!
კმარა ჭკუის სასწავლებლად
ჩემი მოგზაურობაო!

—

აწ-კი დროა, ავიკიდო
ჩემი გუდა-ნაბადიო:
„ჩიტი სადაც იბადება
იქ ჰქონია ბაღდადიო"!

აკაკი.

სოფლის ქსენონები

(ვუძღვნი გუბერნიის ექიმს ტ. ს. ქიქოძეს).

(დასასრული *)

რა ნაირად უნდა შეიცვალოს ქსენონის საქმე, რომ არც მწვადი დაიწვას და არც შამ-

---

*) იხ. „ივერია" № 221.

რად მღვდელმა და ერმა შეიგნეს, გაიხსენეს თავის მიერ დავიწყებული მოვალეობა. ყველა გამოფხიზლდა, ყველა მიხვდა ბევრს ავსა და კარგსა. არ დარჩენილა არც ერთი სოფელი, (გარდა უმცირესის ნაწილისა, სადაც შემკობილი ეკლესიებია), რომ ხალხი ფაცა-ფუცში არ იყოს. ყველგან იწერენ წმ. ხატებს, აახლებენ კანკელს, ჰყიდულობენ ეკლესიისათვის სამკაულებსა, ავლებენ ეკლესიებს გალავანსა. სოფ. პერევისაში, მათის მეუფების რჩევით, კიდეც მოიყვანეს ცნობილი მხატვარი ბ-ნი მრევლიშვილი, რომელიც უკვე შეუდგა აღნიშნულ ეკლესიისათვის ხატების დამზადებას.

რევიზია მათი მეუფებისა ყველაფერს შეეხო: არ დაუტოვებია არც ერთი მხარე ერის ცხოვრებისა, რომ მათს მეუფებას არ გაეგოს, არ შეეტყოს, სად რა საჭიროებაა, სად რა უნდა გაკეთდეს... ბევრს სოფელში იხსნება სკოლები და სინათლის გზას მოკლებული ერი ეღირსება ნათელს.

ყოველმა მღვდელმა და ერმა მოიმკო ნაყოფი ღირსი საქმეთა თვისთა. საქებარმა ქება, საძაგებელმა-აუგი.

ამ მოკლე წერილში არ შეგვიძლია გამოვსთქვათ და გამოვხატოთ ყველა ის კეთილი შედეგი, რომელიც მოჰყვა ყოვლად სამღვდელო ლეონიდის რევიზიას. ღმერთსა ვსთხოვთ, გვიცოცხლოს ჩვენი მხნე, კეთილგონიერი და ენერგიული მღვდელმთავარი მრავალს წელს და, იმედია, ყველა ეკლესია ისე გამშვენებული იქნება, როგორც სასურველია.

ლ. ღ.

კავკასია

მთავრობამ გადასწყვიტა გაამრავლოს პროკურორთა რიცხვი. მაგ. ამიერ კავკასიაში შვიდი პროკურორის ამხანაგი იქნება დანიშნული.

რუსეთი

წვრილ მოქალაქეთა და ხელოსანთა წოდების საქმე 1903 წლის დამდეგს სრულიად შეიცვლება. პრინციპიალურად ამ წოდების გაუქმება გარდაწყვეტილია, ხოლო წვრილ მოქალაქეთა და ხელოსანთა საქმეები ქალაქის თვით-მართველობის ხელში გადავა.

— ამ მოკლე ხანში გამოაქვეყნებენ სასჯელთა ახალ დებულებას; ხოლო მის ცხოვრებაში შემოღებამდე დიდი ხანი გაივლის, რადგანაც საჭიროა დიდის საკანონდებლო ცვლილებების მოხდენა, ვიდრე ეს ახალი დებულება შეეფარდებოდეს დღევანდელ არსებულ კანონდებულებას. აზრადა აქვთ, სოფლის მსაჯულთათვის ახალის სისხლის სამართლის კოდექსი შემოიღონ, რადგანაც ახალი დებულების რედაქცია ითხოვს ტეხნიკურ ცოდნას იურიდიულის მხრივ.

— დღევანდელი სათავად-აზნაურო დამხმარე საზოგადოებანი ამ მოკლე ხანში თავად-აზნაურობის საურთიერთო დამხმარე კასებად გადაკეთდება. ამ გვარს კასებს ამ მოკლე მომავალში სულ 12 გამართავენ. ფინანსთა სამინისტროს ამისთვის გადადებული აქვს 5 მილიონი მანეთი. ამ ფულიდგან პირველად 2½ მილიონ მანეთს შეეწევა სამინისტრო კასებს.

— 12 ოკდომბერს მოსკოვში ქალაქის ყველა საავადმყოფოებში დასდგეს ყუთები, რომლებშიც საჩივრის წერილები უნდა ჩაიყარონ. ყუთის გასაღები ქალაქის თავს აბარია. საჩივრებს განიხილავენ კვირაში ერთხელ.

— ფინანსთა სამინისტროს განზრახვა აქვს დააარსოს ცალკე მმართველობა მცირე კრედიტის საქმეთა განგებისა და ხელმძღვანელობისათვის. მმართველობაში მონაწილეობას მიიღებენ წარმომადგენელნი იმ უწყებათა, რომელთათვისაც საინტერესოა ეს საგანი, აგრედვე წარმომადგენელნი ერობათა და მცირე კრედიტის დაწესებულებათა.

უცხოეთი

საფრანგეთი. გაზეთები იუწყება, ნებადაურთველ კონგრეგაციათა საფრანგეთში დაფუძნების შესახებ პროექტს მთავრობა მანამდე არ წარუდგენს პალატას, სანამ განსაკუთრებული კომისია არ დაინიშნება ასოციაციათა მოსაწესრივებლადაო; ამ კომისიას უნდა მიენდოს განხილვა კონგრეგაციათა თხოვნების და იმ კანონ-პროექტისა, რომელიც ასოციაციათა კანონის დასამატებლად იქნება შედგენილიო.

ავსტრია-უნგრეთი. რეიხსრატის მეორე კრებაზე დიდი აყალ-მაყალი ასტყდა იმის გამო, რომ ოპოზიცია დაჟინებით თხოულობდა,—უეჭველად ახლო მომავალში უნდა განიხილოთ ენების საქმე სილეზიაშიო.

იგინი ამბობდნენ,—თუ მთავრობა მართლა იმ პრინციპითაა განსჭვალული, რომ ეროვნული თანაბრობა დაამყაროს სახელმწიფოში, რატომ ჯეროვან ყურადღებას არ აქცევენ გერმანელთა თვითნებობას სილეზიაშიო. გერმანელებმა უპასუხეს, ჩეხები თანაბრობასა და თანასწორობას-კი არა სცდილობენ ამ კუთხეში, არამედ გერმანელ მოხელეთა გამოდევნასაო. კამათის დროს შეიტაკნენ ახალგაზდა ჩეხი ბრჟეზნოვსკი და გერმანელ დემოკრატთა დასის წევრი ალბრეხტი. ბრჟეზნოვსკიმ უსაყვედურა გერმანელ დეპუტატს, დედით ჩეხი ხარ და სიმდიდრეც ჩეხების წყალობით შეიძინეო. ალბრეხტი ისე გააბრაზა ამ შენიშვნამ, რომ მუშტით მიჰვარდა ბრჟეზნოვსკის და შესძახა--„ცრუ“ და „საზიზღარი სულიერი“ ხარო. როდესაც იგინი ძლივს-ძლივობით დააშოშმინეს, ხელ-ახლად ასტყდა აურზაური. დეპუტატ სევნალმა ჩეხურ ენაზე დაიწყო სიტყვა; შენერერმა და მისმა ამხანაგებმა მოითხოვეს, რომ ორატორს ამ კადნიერებისათვის სრულიად აეკრძალოს ლაპარაკიო. სრულიად-გერმანელმა ბერგერმა ჩეხებს მიაძახა: „თქვენ—ქუჩის ბიჭ-ბუჭები ხართ პოლიტიკაშიო“. ამ სიტყვებმა გამოიწვია ისეთი ალიაქოთი, რომ კაცის ენა ვერ ასწერს: ჩეხის დეპუტატები მისცვივდნენ ბერგერსა და დიდი შეურაცხყოფა მიაყენეს. ბერგერს მიეშველენ სრულიად-გერმანელნი და ვოლფი; ხმაურობა მანამდე არ შესწყდა, სანამ ვიცე-პრეზიდენტმა არ მიჰმართა ბერგერს, წეს-რიგს ნუ დაარღვევთო; სრულიად-გერმანელებმა იწყინეს ეს სიტყვები და ვიცე-პრეზიდენტს „გერმანელი ჩეხი“ უწოდეს; „თქვენ, იმედია, ლეოპოლდის ორდენსაც მიიღებთო“. ასტყდა ისევ არეულობა სრულიად-გერმანელთა და ჩეხ რადიკალთა შორის. დასასრულ მაინც უარ-ჰყვეს ენათა შესახებ პროექტის განხილვის დაჩქარება.

— ძველ-ჩეხთა გაზეთ „Politik“-ში დაბეჭდილი იყო საყურადღებო მოწოდება, რომელიც ერთ არისტოკრატ ჩეხს—ფეოდალ მემამულეთა დასის წევრს, ეკუთვნის. ამ წერილში ავტორი ჩეხებისა და პოლონელების შეერთებას ჰქადაგებს.

„ჩეხნი და პოლონელნიო—ამბობს ავტორი—რაც შეიძლება უფრო მჭიდროდ უნდა დაკავშირდნენ, ხელი-ხელს მისცენ ერთმანეთსა და ისე მიიტანონ იერიში ავსტრიის პოლიტიკაზეო. ჩვენ მოვუწოდებთ განსაკუთრებით პოლონელებს, რომელნიც, ვგონებ, საკმარისად დარწმუნდნენ, თუ რას უქადიან მათ პოზნანში სრულიად-გერმანელნი. ამიტომ, ავსტრიის პატრიოტიზმის თვალით შეჰხედავთ საქმეს, თუ მხოლოდ პოლონელთა ეროვნულს მისწრაფებას მიიღებთ სახეში, პოლონელებისათვის ყოველ შემთხვევაში ათას წილად უმჯობესია შეგვიერთდნენ და ჩვენთან ერთად იმოქმედონ. ეს ორი ერი მხოლოდ იმ შემთხვევაში მიაღწევს თავის გულის წადილს, თუ შეერთდება და შეთანხმებით იმოქმედებს. უწინარეს ყოვლისა, მე იმ აზრს ვადგივარ, რომ ობსტრუქციას ჯერჯერობით ნურც ერთი მათგანი ნუ მიჰმართავს ავსტრია-უნგრეთის საბაჟო შეთანხმების საქმეში; ობსტრუქციას მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში უნდა მივმართოთ, როგორც ძლიერსა და მასთანვე საფრთხილო იარაღსაო“. დასასრულ წერილში გაკიცხულია კერბერის პროექტი, რომელიც გერმანულ ენას ყველა ოლქებში უპირატესობას ანიჭებს. ავტორი ურჩევს კერბერს, თუ სლავიანთა გაგერმანელება გნებავთ, უფრო კულტურულ საშუალებას მიჰმართეთ, თორემ ძალადობით თქვენ ვერას გახდებითო; „კულტურულ ნიადაგზე ბრძოლაც მშვიდობიანად შეიძლება; მხოლოდ ძალადობას—ძალადობა მოჰყვებაო“.

ოკდომბრის 20-ს (ა. სტ.) ავსტრიაში, სილეზიისა და გალიცის საზღვარზე მდებარე ქალაქ ველსკში, სრულიად გერმანელებმა დემონსტრაცია გაჰმართეს პოლონელთა წინააღმდეგ, რომელიც დასასრულ ნამდვილ ბრძოლად გადაიქცა.

სახალხო მოღვაწე კსენძ სტოილოვსკის მეცადინეობით ბელსკში აშენდა პოლონელთა „სახალხო სახლი“ და სწორედ ამა ოკდომბრის 20-ს უნდა ეკურთხებინათ იგი. ამ დღესასწაულში მონაწილეობა უნდა მიეღო გალიციიდან მოსულ მრავალ რიცხოვან დეპუტაციას. აი, სწორედ ამან გამოიწვია სრულიად-გერმანელთა სურვილი,—პირადის წინააღმდეგობა გაეწიათ პოლონელთათვის.

წინა დღესვე ბურგომისტრის დავალებით ადგილობრივ ქუჩებზედ გააკრეს ბლომად პროკლამაციები, რომლითაც იწვევდნენ სრულიად-გერმანელებს „სამოქმედოდ“. მართლაც, მეორე დღეს მდ. თეთრზე გადებულ ხიდზედ, რომელიც აერთებს სილეზიას და გალიციას, შეიყარნენ სრულიად-გერმანელნი და დაუწყეს უწყალოდ ცემა ქალაქს საჩქაროდ მიმავალ პოლონელ გლეხებს, მერმე დაუშინეს დიდრონი ლოდები და სულ თავ-პირი დაამტვრიეს მათ. ასეთ განსაცდელში ჩაცვივდნენ რკინის გზით მოსულნი პოლონელებიც, რომელთა რიცხვშიაც ბლომად იყვნენ ქალები, ბავშები და საწირავად მიმავალი კსენძი სტოილოვსკიც. როგორც ხმა დადის, ამ გამოჩენილ მღვდელს ბევრი არაფერი დაუშავეს, მხოლოდ ორიოდე მუჯლუგუნი მიუღია სრულიად-გერმანელთაგან; შემდეგ დასცემიან მის სახლს, ჩაუმტვრევიათ ფანჯრები, და კედლები სულ ლაფით გაუსვრიათ.

ასევე მოექცნენ სრულიად-გერმანელები „სახალხო სახლ“-საც. ამისდა მიუხედავად სახლის კურთხევა მაინც მოხდა. ამ დღესასწაულზედ დაესწრო 2000-მდე პოლონელი, მათ შორის იმყოფებოდნენ პარლამენტისა და სეიმის გლეხთა ყველა დეპუტატები. ადვილი წარმოსადგენია, თუ რა გრძნობას გამოიწვევდა გერმანელების მხეცური საქციელი ფიცხსა და დაუდგრომელ ხასიათის პოლონელის გულში. პოლონელ-გალიციის ჟურნალ-გაზეთები უსაყვედურებენ სრულიად-გერმანელებს ასეთ საქციელსა და თანაც იმ გარემოებაზე უთითებენ მათ, რომ გალიციაში ბლომად სცხოვრობენ სრულიად-გერმანელები, რომლებიც მეტად ცუდ მდგომარეობაში ჩასცვივიან, თუ ადგილობრივმა გლეხებმა, პოლონელებმა, მათს მაგალითს მიჰბაძესო. პოლონელთა საპარლამენტო კლუბმა გადასწყვიტა, სრულიად-გერმანელთა ამ მხეცურ საქციელის შესახებ პალატას შეეკითხოს—რადგანაც, როგორც გამოირკვა, დემონსტრაცია წინადვე მომზადებული ყოფილა ბელსკის მთავრობის დახმარებით.

რუმინია. ყველას მოეხსენება, რომ რუმინიასა და ავსტრია-უნგრეთს შორის სამხედრო შეთანხმება არსებობდა. აი, რა უთქვამს ამ შეთანხმების შესახებ ერთ რუმინელ დიპლომატს „Neue Freie Presse“-ის კორესპონდენტისათვის.

ამ ათის წლის წინად, როცა მინისტრ-პრეზიდენტად კანტაკუზენი იყო, ავსტრია-უნგრეთი და რუმინია სამხედრო კავშირით შეიკვრნენ; ეს ხელშეკრულობა შემდეგში შეიცვალა, მაგრამ მისი არსებობა დღემდეც არ მოსპობილა; მოკავშირეთა აზრი ის იყო, რომ რუსეთისათვის გაეწიათ შეერთებული წინააღმდეგობა, თუ იგი ავსტრია-უნგრეთს აუტეხდა ომსა. რუმინიას დაევალა 4 კორპუსის გამოყვანა ბრძოლის ველად; ამათგან ორ-ნახევარ კორპუსს პრუტის გზა უნდა შეეკრა რუსებისათვის; დანარჩენ ერთ-ნახევარს ბულგარიაზედ უნდა სჭეროდა თვალყური, და, თუ საჭიროება მოითხოვდა, უნდა შეეშალა მისთვის ხელი, რომ ომიანობაში მონაწილეობა არ მიეღო.

სხვა-და-სხვა წერილები

მესხეთის და ჯავახეთის გათათრება

(დასასრული).

ფაშამ დარიგება მისცა და შინ გაისტუმრა. საპასუხო დროდ მეორე დღე იყო დანიშნული, მაგრამ მეორე დღესაც იგივე პასუხი მიიღო ფაშამ, რომელიც დაემუქრა: საქმე სიკვდილით გათავდებაო.

ესენი წავიდნენ შინ, შეკრიბეს ქრისტიანი ქართველები და გადასწყვიტეს: ჩვენ აქედგან ფეხს არ მოვიცვლითო.

დანიშნულს დღეს წავიდნენ ფაშასთან და მოახსენეს, აქედგან ვერსად წავალთ და ვერც გავთათრდებითო. ფაშას ჯავრი მოუვიდა და კვლავ მისცა სამი დღის ვადა.

მესამე დღეს წარსდგნენ ფაშის წინაშე და ასეთი პასუხი მისცეს: „ვიდრე ცოცხლები ვართ, აქედგან წასულებს ვერ გვნახავ, აქ დავრჩებით და აქვე დავიხოცებითო“.

ფაშამ გადასწყვიტა, ეს სამივე კაცი სიკვდილით დაესაჯა. ახალციხის ციხის გალავანში ფაშა სცხოვრებდა, მისი მედრესეც იქ იყო და ქრისტიანეთ საჯალათოც. აქ პირველად თავი მოსჭრეს გასიდ მღვდელს ორბელიანს, რომელმაც თავის მოჭრის წინად ფაშას მუქარით უთხრა:

— ყველას ხომ ვერ დასჭრი თავებს, დღეს თუ ხვალ სამაგიერო მოგეკითხება ქრისტიანეთაგან.

გასიდის შემდეგ, დესპოდ ეპისკოპოსი სტან-

იხ. „ივერია“ № 221).

ფური? თუ ხალხს ვეტყვით: აწ არსებულ ხარჯზედ ერთი ოთხად და ხუთად მეტი გარდასახადი შეიწერეთ და მაშინ მიიღებთ ყოველ გვარ წამლეულობას ულეველად და მეორე ექიმიც გეყოლებათო, ეს ჯერ ხნობით ყოვლად შეუძლებელია და თუნდა მოხერხდეს კიდეც, მაშინ უფრო საკმაო მუქთა წამლების გულისათვის მრავალნი ძალად ავადმყოფნი დაიბადებიან უცბად გახელებულ ქამა-ზოკოსავით, წამლებსაც მოტყუებით გაზიდავენ ერთმანეთის ჯიბრით და ექიმსაც მეტბარგად დააწვებიან კისერზედ ტყუილ-უბრალო დიაგნოზის მოსახდენად. არა, ამოდენა ხალხსა და ჯამაათს (ოცი ათასს სულს) ათასი თუმნის მუქთა წამლებიც არ ეყოფოდა, და თუ არ მისცემდით ყველას ყოველგვარ საჭირო წამლებს და კიდევ კერძო აფთიაქში გაგზავნიდით, მაშინაც ხომ დღევანდელი შფოთი და განხეთქილება არ დაილეოდა. ამასთანავე ისიც უნდა მივიღოთ მხედველობაში: ქსენონის აფთიაქის გართულებულ საქმის მწარმოებელთაც კარგა ფული მოუნდებოდათ ჯამაგირებად.

მაშ როგორ მოვიქცეთ და რა გზით ვუშველოთ წამხდარ საქმეს?—ორში ერთი-ღა დაგვრჩენია: ხალხს უნდა ასყიდებდეს ყოველგვარ საჭირო წამლებს ან თვით ქსენონი და ან კერძო თუ საამხანაგო აფთიაქი, რომელიც ქსენონისავე ექიმის მეთვალყურეობის ქვეშ უნდა იმყოფებოდეს მახლობლად, რომ ხალხი არ მოსცდეს თავის მაცხოვრებელ საქმეს შორს ტარებით და შაურის წამალი მანეთად არ უჯდებოდეს. ავიღოთ მაგალითად სოფელი ქოდალო, მისი ქსენონი და უაფთიაქობა: ორიოდე შაურის წამლისათვის გლეხ-ადამიანმა 28 ვერსი უნდა იაროს, რადგანაც მაზრის ქალაქი სიღნაღი 14 ვერსის მანძილზედ მდებარეობს ქოდალოდამ. ამასთანავე კერძო თუ საამხანაგო აფთიაქი ქსენონის ექიმის რეცეპტებით ნავაჭრიდამ გარდაწყვეტილ პროცენტს უნდა აძლევდეს ქსენონს.

ქსენონი მხოლოდ უკანასკნელ ღარიბ ლატაკებს-ღა მისცემდა მუქთა წამლებს უქონლობის მოწმობის წარდგენით და ასეთსავე უშემწეო ღარიბ-ლატაკებს დააწვენდა თავის ლოგინებზედ სამკურნალოდ.

რაც შეეხება მეორე ექიმისათვის ჯამაგირს, ეს ზოგი მედიკამენტისათვის გადადებულ ფულიდამ შესდგებოდა, ზოგი აფთიაქიდამ შემოსულ პროცენტებიდამ და დანარჩენი მრავალ თავისუფალ ხალხის ოჯახიდამ, რომელნიც დიდის სიამოვნებით ჩაეწერებოდნენ ქსენონის წევრებად და ზოგიერთი კაი შეძლებული ოჯახი თუმანსაც გადიხდიდა საწევროს ყოველ წელს (თუ-კი მეორე ექიმიც იქნებოდა), რადგანაც მაზრის ქალაქ სიღნაღის ექიმები ცხენით სიარულს სულაც არა კადრულობენ და ფაიტონით ექიმის თითო მოწვევა თითო თუმანზედ მეტი უჯდება თავისუფალს ხალხს: თავად-აზნაურობას, სასულიერო წოდებას და მოხელეთა და ვაჭართა ოჯახობას.

ჰაი გიდი ჰა! დრონი მეფობენო, ეს არი აი! გერმანიაში ვიზიტი შვიდი კაპეიკი გაჰხადეს სოკოს სისწრაფით გამრავლებულმა ექიმებმა და ჩვენი გაროშისპაპებული სიღნაღის ექიმები-კი ისეთ უზარმაზარ ბაყბაყ-დევის სიმძიმისანი გამხდარან, რომ ორ ცხენიან ფაიტონშიაც არა ჯდებიან, თუ ოთხი ცხენი არ აბია! მაგრამ, მადლობა ღმერთს, „მოახლოებულ არს ჟამი სასუფეველისა“ და, ღვთით, საქართველოშიაც დადგება ადრე თუ გვიან ის კურთხეული დრო, როდესაც გლეხი ხუთს კვერცხს ან რამდენსამე თავს ხახვსა და ნიორს მიუტანს ექიმს გასამრჯელოდ და წესრიგიანად გაეშინჯვინება რეცეპტის მისაღებად.

დიაღ, ერთ დროს საქართველოშიაც სოკოს სისწრაფით გამრავლებულ ექიმთა რეკლამებიც დაიწყებენ ბაზაზხანის დახელოვნებულ ნოქრებივით ძახილს: „ჰაი, აქათ! აქათ, მუშტრებო, იაფათ და პირიანათო“!.. ამასთან მოჰყვება ასეთივე საკონკურენციო რეკლამები გამრავლებულ იურისტებისა და დიდად სასურველიც არის, რადგანაც სამახსოვროდ ასაწერმა, ყოვლად-უნამუსო და უსულგულო „აბლაკატებმა„ და „ადვაკანტებმა“ ქვეყანა დაჰღუპეს, გააცივეს და ძირიან-ფესვიანად ამოაგდეს.

ჰო, იმას მოგახსენებდით. ქსენონის მეორე ექიმის ჯამაგირისათვის გარდა დასახელებულ წყაროებისა, სხვა წყაროებსაც ვიპოვნიდით, თუ გულ-წრფელ თავ-გამოდებით მოვიწადინებდით და აი ამ ნაირის ცვლილებით მოისპობოდა კეთილ საქმის პირქვე დამხობამდის მისული დღევანდელი განხეთქილება ხალხსა და ქსენონს შორის, ქსენონიდამ წამლების მოტყუებით ზიდვა, ექიმ-ფერშლების ცუდ-უბრალოდ მოცდენა ძალად-ავადმყოფებისაგან და საქმის დამცარავი ცილის წამება: „ვისიდამაც გამოელიან რასმე, იმათ თავ-პირზე აყრიან მუქთა წამლებს, მალეცა ჰსინჯავენ, და ღარიბ-ლატაკებს-კი პანღურის კვრით ისტუმრებენ ხელ-ცარიელებსო. გარდა ამისა, ჩვენს წამლებს თავისუფალ ხალხზედაცა ჰყიდიან ბზის ფასად ფერშლები მალვით-ფარვითო და სხვანი.

ხსენებულნი ცვლილებანი მაჩხაანისა და ანაგის ქსენონებში ძალიან მალე უნდა მოჰხდეს საქმის სიკეთისათვის, რადგანაც კარგა ხანია მთელი ამ ორის ქსენონის მიმყოლი ხალხი (რვა ათასი კომლი) გულ-მოსხნედ ბობოქრობს: „დაილუპნენ, დაილუპნენ იქიდამ! არ გვინდა მაგათი აქიმობა, როგორც გვიცხოვრნია, იგრევ იგრე ვიცხოვრებთო“.

უეჭველია, მეტყვით: უბრალო სასაქმებელი ზეთიც რომ სასყიდელი გაუხდეს ხალხს, მაშინ ხომ უფრო მეტად აბობოქრდებიან ყველანი და დემოსთენ-ციცერონის უკვდავ მჭევრმეტყველებითაც ველარავინ დააჩუმებსო. დიაღ, ასე იქნება წინა-პირველად, მაგრამ ისევ მალე დაშოშმინდებიან და იტყვიან: რაც ქვეყანას, ის ჩვენა, სამართლით მოჭრილი თითი არ მეტკინებაო.

ქსენონის რეფორმის წინად და შემდეგაც ზნეობრივად მოვალენი არიან ქიზიყის ცოტად თუ ბევრად შეგნებულნი მანდილოსან-ქუდოსნები, რომ ძმურად ჩააგონონ ხალხს ასეთი აზრი: ესეც დიდზე დიდი ღვთის წყალობა იქნება, რომ მთელი ოჯახი წელიწადში მარტო ათ შაურს ან მანეთს საექიმო გარდასახადს იხდიდეს და იმ მცირე გარდასახადის წყალობით წლის-წლობამდის ყოველ დღე ნება ჰქონდეს ოჯახის ყველა წევრს გაეშინჯვინოს ექიმს მუქთა რეცეპტებისა და რჩევა-დარიგების მისაღებად. გარდა ამისა, მათივე ღვთის მოსაწონი დაწესებულება—ქსენონის წყალობით უწყალო ღარიბ-ლატაკები მიიღებენ მუქთა, სამადლო წამლებს და უსახლკარო ობოლ-უპატრონონიც დაწვებიან ქსენონში მოსარჩენად.

ხსენებულ ცვლილებასთან ერთად აუცილებლად საჭიროა მოჰხდეს შემდეგი ცვლილებაც: ქსენონის კომიტეტი უნდა შესდგებოდეს ისეთ შეგნებულ, გამჭრიახ და საქმისათვის გულ-წრფელად თავ-გამოდებულ კაცებისაგან, რომელთაც შეეძლოთ ქსენონის საქმეების წეს-რიგიანად განგება-მეთვალყურეობა და ყოველ სათანადო მთავრობის წინაშეც შუამდგომლობა მის შესახებ, რომ მთავრობაც დაეხმაროს სოფლის ხარჯით დაარსებული ქსენონების გამრავლება-აღორძინებას ცოტაოდენის ფულით, ხალხის მრავალნაირად დამღუპავ მკითხავ-აქიმების ამოლაგმით, თუ ქსენონების ცილისმწამებელ ბოროტ-სულთა დასჯით, რომელთა შენ-ჩემობის გულ-ავყიობა და შურ-ღვარძლიანობა მზად არის ყოველ წამ-წუთში თვით მაცხოვრის წმინდა ტაძარიც-კი გამბაკრულვით დაანგრიოს გძელ-ყიწვიან წერაქვით, იმ ტაძრის მიძღვრისა რომ რაიმე ჯავრი სჭირდეს და ბოლოს ოპოზიციის სახელით მონათლულ ძმა-ბიჭებთან ერთად მეტის-მეტის სიხარულით თავდაყირა დამდგრებმა ფეხის გულებზედ ღვინით სავსე ბოთლები დაიდგან და თავმომწონე ნიშნის მოგებით იძახონ ზეცამდე წმინდა-უმანკო სულით აღფრთოვანებულებმა: იჰ! ვენაცვალე ღმერთს! კარგა დაუნგრიეთ ტაძარი ჩვენს არაფრად ჩამგდებსო! ტაშ! ტაშ! ბიჭებო აწუხელებო! დღეს გაგვითენდა აღდგომაო!..

იგივე შეგნებული კომიტეტი ქსენონისა ეცდებოდა ხალხსა და ქსენონის ექიმთა შორის ძმური ერთობა, სათნოება და პატივს ცემა დამკვიდრებულიყო საქვეყნო-საკეთილო საქმის სიკეთისათვის და არა ოთხსავ-კუთხივ ეხლანდელი, არ-სასიამოვნო, საშინელი განხეთქილება, რომელიც ხალხის საკეთილდღეო საქმეს აუკუღმართებს და პირქვე დამხობას უქადის.

ცოდვა გამჟღავნებული სჯობიაო, ისეთი წყეულ-შეჩვენებულ გულ-ზვაობის ავყიობა და შურ-ღვარძლიანობა გვჭირს საზოგადოდ ქართველებს, რომ ქართველთა საზოგადო საქმენი უფრო ამისაგან დაილუპნენ ყველგან, ილუპებიან დღესაც და ვერც მომავალში იბოგინებენ ხანგრძლივად, თუ ქართველთა რომელსამე საზოგადო დაწესებულებას გვერთ არ ეყოლება მცველ-მფარველად „საზოგადოება მშვიდობიანობისა“, და აი ამიტომაც, ვიდრე რომელსამე საზოგადო საქმეს განვიძრახავდეთ სადმე, ჯერ უწინარეს ყოვლისა „საზოგადოებას მშვიდობიანობისას ანუ კეთილ-საქმის მცველ-მფარველობისას“ უნდა ვაარსებდეთ შენც წაჰხდი, მეც წამახდინეს „ომიანობის“ ასაცილებლად...

ტყუილად-კი არ უთქვამს ქვეყნის ზნე-ყოფა-ცხოვრებების ღრმა ცოდნითა და ბრწინვალე ჭკვა-გონების მაღალ-ნიჭიერებით აღჭურვილ ბრძენ-მეცნიერს: concordia parvae res crescunt, discordia—maximae dilapuntur —თანხმობით პაწია საქმეც დიდდება, და უთანხმოებით-კი დიდი საქმეც ილუპებაო. უტყუარ ჭეშმარიტებით აღსავსე მცნებაა და ამიტომაც სოფლის ქსენონების ექიმნი, ფერშლები, ბებიები და კომიტეტნი ყოვლის ღონის ძიებით უნდა სცდილობდნენ, რომ მტკიცედ სრულდებოდეს ქსენონებში ეს ყველა საზოგადო დაწესებულების შუბლზედ ოქროს ასოებით დასაწერი მცნება, თორემ, მერწმუნეთ, სოფლის ქსენონებიც მალე გამოგვეცლება ხელიდან საიქიოს გუდა-ნაბად აკიდებულნი.

ქიზიყელი.

ჯას, ჰკვეთს და თავი გააგდებინეს. გრიგოლ მღვდელს ამათის საცოდავობის ცქერით გული წაუვიდა და გარდაიცვალა ისე, რომ მისი დასჯა და თავის მოჭრა ვეღარ მოასწრეს.

ეს შემთხვევა მოხდა 1806 წ., შემოდგომის პირზედ. ამათი წამების ამბები ახალ-ციხეში მალე მოიფინა. ფაშასათვის მოუხსენებიათ, მაგ დახოცილებს ერთი ამხანაგიც ჰყავსთო. ეს ყოფილა მთავარი სტეფანე დორთქიფანიძე. ფაშას სტეფანე დაუბარებია, ფული მიუცია და თან დაუვალებია, ეს გვამები თქვენებურის წესით დაასაფლავეო. დორთქიფანიძეს წაუსვენებია და დაუსაფლავებია იქ, სადაც დღეს ახალ-ციხის ქართველთ წმ. მარინეს ეკკლესიაა, ხსენებულ ტაძრის ერთს კედელზედ არის ქართული წარწერა, რომელიც ცხადად მოწმობს ვასილი მღვდლის ამაგს.

ამათ შემდეგ ახალ-ციხეში მოღვაწეობდნენ იოსებ მღვდელი ორბელიანი, ძე ვასილისა და პეტრე მღვდელი ხმალაძე და სხვანი.

ზ. ჭ.

თეატრი და ხელოვნება

ქუთაისი. შაბათს, 12 ოკდომბერს, ჩვენის საყვარელის და ნიჭიერის დრამატურგის, განსვენებულის აქსენტი ცაგარლის სახსოვრად იყო გამართული სახალხო წარმოდგენა. წარმოადგინეს „ციმბირელი“ და აპოთეოზი. მონაწილეობას ღებულობდა, გარდა სცენის მოყვარეთა, მსახიობი გ. ბალანჩივაძე.

აიხადა ფარდა და შუა სცენაზედ გამოჩნდა დაფნის გვირგვინებით შემკული ასიკოს სურათი... მარჯვნივ და მარცხნივ გამწკრივებულიყვნენ მისი ცხოვრების სხვა-და-სხვა გმირები, მისივე პიესებიდგან ამოღებულნი...

ი. ბაქრაძემ გააცნო საზოგადოებას აქსენტი ცაგარლის ვინაობა და მოღვაწეობა; შემდეგ წაიკითხეს ლექსები ქქ. გიგაურმა და თავზარაშვილმა და ბ-ნმა ჯაფარიძემ. აპოთეოზი ძლიერ სუსტობდა. საჭირო იყო აქს. ცაგარლის ბიოგრაფიაც უფრო ვრცლად მოეთხროთ ხალხისთვის.

ბ-ნი ბალანჩივაძე ვერ იყო ამ საღამოს მაზუთაშის როლში ისეთი, როგორსაც მოველოდით. ჩვენის აზრით, ამ საყვარელ არტისტს, ამ საღამოს კარგად ვერ შეეგნო თავისი როლი და, როგორც მიხვრა-მოხვრით, ისე კილოთი, უფრო კარაპეტას წარმოგვიდგენდა „ქუნწში“, ვიდრე ტრიფონ ბადანიჩს, რომელიც ფულით გალაღებული და გაზვიადებული, ცხოვრების უმაღლეს საფეხურამდე ასულა და იქიდგან ჭიანჭველებად უჩანს ხალხი. ზოგიერთი მოყვარენიც კარგად თამაშობდნენ. მათ შორის ჩვენი ყურადღება მიიქცია თავისის მოხდენილის თამაშით ქ-ნ გიგაურმა (მაშო). ეს როლი, მართალია, ბევრი ღირსებით არ არის შემკული, მაგრამ არც მაინცა და მაინც სიცოცხლესაა მოკლებული. ქ-ნ გიგაურის თამაშობამ არა თუ მოლოდინს გადააჭარბა, არამედ გაგვაკვირვა კიდეც... ხუმრობა არ არის, პირველად გამოხვიდე სცენაზედ და შენი როლი სავსებით უნაკლულოდ შეიგნო და შეასრულო. ხშირად ეს გამოცდილს და ნიჭიერს არტისტებსაც უჭირთ. ქ-ნმა გიგაურმა თავისი მოხდენილის და შეგნებულის თამაშით დაგვანახვა, რომ თუმცა ის პირველად გამოდის სცენაზედ, მაგრამ მას აქვს სასცენო ნიჭი და უნარი.

წარმოდგენა უნდა დაწყებულიყო რვა საათზედ, დაიწყო-კი ცხრა საათზედ... თეატრში წესიერებას მეტი ყურადღება უნდა მიექცეს...

წარმოდგენას ხალხი ბლომად დაესწრო. ბევრი უბილეთობის გამო უკანვე დაბრუნდა.

სიმართლე.

ნარკვევი

რა არის დანაშაულობა, ვინ არის დამნაშავე? აი ამის საპასუხოდ „Р. В.“-ში დაბეჭდილია მაქსიმე ნორდაუს აზრი:

„რა არის დანაშაული? იურისტი გიპასუხებთ, რომ დანაშაული ის მოქმედებაა, რომელიც კანონს ეწინააღმდეგებაო; ღვთის-მეტყველი იტყვის, დანაშაული ის საქციელია, რომელიც ღვთიურ კანონს ეწინააღმდეგებაო. სოციოლოგი დანაშაულობას უყურებს, როგორც საზოგადოებისთვის მავნე მოქმედებას; ცნობილი მეცნიერი ლომბროზო ჰხსნის დანაშაულს, როგორც ატავიზმს; ე. ი. დამნაშავეს მოქმედება თან დაყოლილია, მემკვიდრეობით გადმოცემულია ძველებითგან, თითქოს ძველებში მარტო ძალ მომრეობა და კაცის კვლა ყოფილიყოს გავრცელებული.

ნორდაუ არც ერთს ამ დასახელებულ ახსნას არ ემხრობა. მისის აზრით, დანაშაული ადამიანის პარაზიტიზმია, ე. ი., როცა ადამიანი უყურებს სხვა ადამიანს, როგორც საშუალებას თავის მადის და მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად. კაცობრიობის ცხოვრება თან-და-თან რთულდება და შრომის განაწილება მუდამ მატულობს. სანამ საზოგადოების ყველა წევრი ერთი-მეორისთვის შრომობენ, ერთმანეთს ეხმარებიან, მანამდე აქ პარაზიტიზმის ხსენებაც არ არის. პარაზიტმი მხოლოდ მაშინ წამოჰყოფს თავს, როცა ჩნდება ადამიანი, რომელიც სცდილობს მიიღოს, და თვითონ-კი არაფერი გასცეს, როცა დაუკითხავად ისაკუთრებს სხვის შრომის ნაყოფს“.

ცივილიზაცია ხელს უწყობს პარაზიტიზმის გაძლიერებას. ბევრს მასალას ამზადებს საზიზღარ ექსპლოატაციის განსამტკიცებლად. პირველად ადამიანის შრომის მითვისებას მკრთალი ხასიათი აქვს, შემდეგ ხშირდება ეს მოვლენა, მერე ჩვეულებად გადიქცევა ხოლმე და ბოლოს სასტიკობის სახეს იღებს.

„დამნაშავე—პარაზიტი ასრულებს თავის მოქმედებას დაკვირებით, დაფიქრებით და სრულიად გულ-გრილად; მხოლოდ თავისი საკუთარი სარგებლობა აქვს სახეში, სხვა არაფერი“.

წერილები
რედაქციის მიმართ
I

„ცნობის ფურცლის“ № 1948-ში „წერილები“-ს ავტორს იმდენად შემცდარი ცნობები მოჰყავს გურიის მემამულეთა შესახებ, რომ მათი უპასუხოდ დატოვება ჩემის მხრით შეუძლებლად მიმაჩნია და გთხოვთ შემძლებინოთ გამოვსთქვა თქვენი გაზეთის შემწეობით ჩემი აზრი აღძრულ საკითხის გამო. უპირველეს ყოვლისა მინდა შემდეგი მოვახსენო „ცნობის ფურცელს“: თუ შესაძლებელი იქნება და რედაქცია იდებს თავზე გაგზავნოს რამდენიმე **სარწმუნო პირი** სუფსაში და მის ახლო-მახლო სოფლებში ნამდვილი წყაროებიდგან ცნობების შესაკრებად, და თუ ის მართალი გამოდგება, რომ „ზოგჯერ“ ოც ფუთს მოსავალში 60 ფუთს ახდევინებენ გლეხებს, ან თუ იქაური გლეხი არა თუ ქრთამს აძლევს მოურავებს, პირ-იქით—არ ეხვეწებიან საყანის აღებას, ან თუ მეყანეებს საყანეში ჩამოყვანილ პირუტყვის საძოვარს თუ რამეს ახდევინებენ, თუ ამის მსგავსი რამე სუფსის მემამულეთა მამულში აღმოჩნდება, მაშინ, მე პატიოსან სიტყვას ვსდებ ბოდიშსაც მოუხდი „წერილების“ ავტორს და „ცნობის ფურცლის“ რედაქციის არჩევით რომელსამე საზოგადო საქმის სასარგებლოდ 500 მანეთს გადავიხდი. და თუ ეს ამბავი სრულებით უმართლო გამოდგეს, მაშინ ცოტა დაუკვირდენ „ცნობის ფურცლის“ თანამშრომლები, უდანაშაულოდ და უსამართლოდ ნუ გვლანძღავენ ისეთ მემამულეებს, ვისაც მათ ნაკლებ არ შეგვტკივა გული გლეხების ცხოვრებაზე. „სუფსაში მაგალითად ერთ გლეხს სულ „შემოუვიდა 20 ფუთი სიმინდი და მოურავმა-კი მოსთხოვა 60 ფუთიო“,—ბრძანებს ავტორი წერილისა. შეიძლება წარმოვიდგინოთ, რომ **ერთ** გლეხს **ერთმა** მოურავმა კიდეც მოჰპარა სიმინდი, მაგრამ ერთი საკმაო რიცხვი არ არის რომლისამე მოვლენის განზოგადებისათვის. იმ ერთმა ვიღაც მოურავმა თუ მართლა მოსთხოვა 20 ფუთის მოსავლიდან 60 ფუთი ღალა, დარწმუნებული ვართ, რომ ვერ გადაახდევინებდა, რადგან გაჭირვებულ გლეხს „შეეძლო მოურავის უფროსთან მისულიყო. სულ ოთხი-ხუთი კაცი ვართ და ჩვენი მეყანეები და ხიზნები სულ ჩვენთან ტრიალობენ და რა ასეთი მიუწდომელი იქნებოდა გლეხის მემამულესთან მისვლა, რომელსაც არც ერთი ჩვენგანი ასე უწყალოდ არ მოექცეოდა. უკეთესი-კი იქნებოდა, სუფსაზე ასეთი მახინჯი მემამულე და მოურავის სახელი გამოემცხადებია ავტორს, თუ შეთხზვა არ დასჭირდებოდა და ფაქტი ხელში ჰქონდა. ამგვარები ყველა შეთხზული ამბავია და მართალი-კი ეს არის, რომ, სუფსის მამულების მუშა გლეხებს რომ შეკითხვიდეს „ცნობის ფურცლის“ წერილების ავტორისთანა ქირისუფლები, იქ მცხოვრები გლეხები და მშრომელი კაცები გულ-ახდით ეტყოდენ მოძალებულ ქირისუფლებს: გვაცალეთ,—ჩვენს მადლში ჩადეგით და აქაური მემამულე ჩვენ შევიქნებით და დღევანდელი მემამულეები ჩვენი ხელის შემყურებელნი გახდებიანო: სიმინდში სამი გოდორი ჩვენ მიგვაქ და **მეოთხედს** მემამულეს ვაძლევთ, ტყეში საქენ შეშაში ორ მანეთს მათ ვაძლევთ და **თვრამეტი** ჩვენ მიგვაქვს. მიწა თუ-კი საყიდლათ გვინდა, მათგან ხელ მისაცემ ფასად ვყიდულობთ, და ისიც მათსავე მამულში შეძენილ ფულებით. მემამულეთა და ჩვენ შორის დიდი კავშირია, ნეტა ყველა ჩვენს მოძმეებს ჰქონდეს ჩვენისთანა შეღავათი და მომავალიო... არსად ისეთი ერთობა არ არის გლეხთა და თავად-აზნაურთა შორის, როგორც ერთობა და სიყვარული გურიის გლეხთა და თავად-აზნაურთა შორის არის. ჩვენ მათს ოჯახებში ვართ დაზრდილნი და ისინი ჩვენსაში. ბევრი გურული გლეხი ბევრს აზნაურობაზედ უმდიდრესად ცხოვრობენ, ამიტომაც მათ ქალებს ჩვენი აზნაურობა ირთავს, გლეხები ჩვენი აზნაურების ქალებს ირთავენ, მოყვრობა არის და ნათესაობა. ერთი სიტყვით სრულად გაერთებაა ჩვენსა და მათ შორის. ვისაც ეს არ სჯერა, მოვიდეს და თავის თვალითა და ყურით დარწმუნდეს.

მერწმუნე, გულ-დამწვარი ქართველი უფრო ლაპარაკობს ჩემში, ვინემ პირადი ინტერესებით გამსჭვალული აზნაური.

სუფსელი ჯამბაკურ გურიელი.

II

უმორჩილესად გთხოვთ, ნება გვიბოძოთ, რომ თქვენის გაზეთის შემწეობით უღრმესი მადლობა გამოვუცხადოთ ქართული დრამატიულ საზოგადოებას, რომელმაც გასულ კვირას, ცამეტს ოკდომბერს, გამოგვიგზავნა მუქთი ბილეთები და მიგვიწვია დილის ქართულ წარმოდგენაზე.

ტფ. საბად. სკოლის ქართველი მოწაფენი.

„ივერიის“ ფოსტა:

ფალატჟე. აფრ. მერკვილაძეს. თქვენი წერილი არ იბეჭდება.

დეპეშა
(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

16 ოკდომბერი.

იალტა. სტამბოლიდგან მოვიდა ელჩი ზინოვიევი. საელჩოს მოელიან ხვალ.

ბელგრადი. მინისტრ-პრეზიდენტად ყოფილი ვუიჩი წავიდა პარიჟს მთავრობის დელეგატად სესხის ასაღებად.

მინისტრი თოდოროვიჩი ითხოვს, მიიღონ ზომები შესახებ წესის დამრღვეველთა და მთავრობის პატივ არ მცემელთა; წესიერების დაცვის პასუხისგებას ავალებს პრეფექტებს და რჩევას იძლევა, ყურადღება მიექცეს მცხოვრებთა ურთიერთ შორის განწყობილებას.

ლონდონი. მეფემ ისურვა, ჩემბერლენი სამხრეთ აფრიკას გაემგზავროს სამხედრო გემითაო. —„Daily Chronicle“ იუწყება, ბურთა წინამძღოლებმა გადასწყვიტესო, დასწერონ ბურთა მოთხოვნილებანი და ეს საბუთი მიართვან ჩემბერლენსაო.

ვაშინგტონი. შიშობენ კრტიმლგა არ მოუხდათ ერთმანერთში შეერთებულ შტატებსა და კოლუმბიას მოლაპარაკებასა და შეთანხმების დროს არხის გამო. კოლუმბიაში ცოტაობენ იმ თანხას, რომელიც უნდა მიეცეს ქვეყანას და ეჭვით უყურებენ შეერთებულ შტატების მოთხოვნილების შესახებ საპოლიციო წესის შემოღებისა ხმელეთის შემაერთებელ ყელზედ. კოლუმბიის მთავრობის ნოტა ვაშინგტონს მიიღეს, ხოლო ჯერ არ ჩაჰბარებია აქაურს მთავრობას.

მოსკოვი. სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში იმართება კურსები აგრონომთათვის, რომელთაც ჰსურთ ემსახურონ ერობას.

იალტა. ხელმწიფე იმპერატორმა გიმნაზიის დათვალიერებისას ბრძანა, სამის დღით განეთავისუფლებინათ ადგილობრივი გიმნაზიების მოსწავლე ვაჟნი და ქალნი სწავლისაგან.

ბანგკოკი. სიამის მთავრობამ ინგლისის ბანგკოკელი ელჩი ბლეკი დანიშნა იუსტიციის მინისტრის ბჭედ. ბლეკი მინისტრის მოადგილედ იქნება.

ლონდონი. ნიუ-ორკიდგან გაზეთებს აუწყებენ, რომ წევრნი საფოლადო ტრესტისა აპირებენ თუჯის ტრესტის მოწყობას 4,000,000 გირვანქა სტერლინგითო.

17 ოკდომბერი

ნიუიორკი. პანამიდგან იტყობინებიან, რომ გენერალი ურიბე დაემორჩილა კოლუმბიის მართველობას ათი ზარბაზნით, 2,500 თოფით და სხვა სამარი იარაღებით.

სოფია. როგორც ამბობენ, რუმინიის მეფე 20 ოკტომბერს ესტუმრება მთავარს რუშჩუნაში.

გვატემალა. ვულკანის ამოხეთქამ დიდი ზარალი მოიტანა. ზარალის რაოდენობა ძნელი გამოსაცნობია, რადგანაც ცენზურის სისასტიკე ხელს უშლის ცნობების შეკრებას. მიწის-ძვრა და ამოხეთქა ჯერ არ შეწყვეტილა.

კონსტანტინეპოლი. სარეს-იბრაგიმ-ფაშამ თავისი სამხედრო ოპერაციებით გაჰფანტა ბულგარელ აჯანყებულთა ზოგიერთი ჯგუფი. კაჩანაში მომხდარ შეტაკების დროს, ბულგარელების მხრით 7 მოჰკლეს, მათ შორის იანკოვიც. ბულგარიელ აჯანყებულთა წინაამდეგ, ბულგარიის სოფლის მცხოვრებლები მთიდგან ბარში ჩამოდიან.

სოფია. „რეფორმას“ აუწყებენ, რომ ომის დროს გენერალმა ცონჩევმა და პოლკოვნიკმა ნიკოლოვმა გაარღვიეს სათარიგო ჯარის რაზმები და დინამიტს ისროდნენ აქეთ-იქით. გადარჩენილნი მიემხრნენ აჯანყებულთ და მიიბრძვიან წინ. ოსმალნი მარცხდებიან. ბაშიბუზუკებმა მოიქმედეს მკრეხელობა და შემდეგ გაძარცვეს ეკკლესია სოფელ ვალხას.

პეტერბურგი. „Прав. Вѣст.“-ში დაბეჭდილია: „პრიამურის საგენერალ-გუბერნატოროში 6-დან 12 ოკტომბრამდე ხოლერით ავათ ხდებოდნენ მხოლოდ ზღვის პირის ოლქში; სულ 30 კაცი გახდა ავად, მათ შორის 21 კაცი გახდა ავად ვლადივოსტოკში, 6 ხაბაროვსკში, 2 უსურიის ნიკოლსკში, 1 ნიკოლაევსკში. კვანტუნის ოლქში 7—13-მდე ერთი გაედა ავად პორტარტურს. კორეის ხოლერა ნელდება. ოდესაში 8—14 ოკდომბრამდე მხოლოდ ერთი გახდა ავად და ექვობენ რომ შავის ჭირით გახდა ავადაო. ავად გამხდარი გარდაიცვალა. შემდეგს ოთხს დღეში ავად აღარავინ გამხდარა. სულ 28 მაისიდან 13 ოკდომბრამდე ავად გახდა 48, მათ შორის 16 გარდაიცვალა, 18 მორჩა და 14 რჩენაშია“.

პეტერბურგის ბირჟა, 15 ოკდომბერს.

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონში 10 გირვ. სტ.	93,85
ბერლინში 100 მარკაში	—
პარიჟში 100 ფრანკში	37,37½
ლონდონში ჩეკები	94,65
ბერლინში „	46,25
პარიჟში „	—
ბირჟის დისკონტი	4½—6½%
4% სახელმწიფო რენტა	97 მყიდ.
4% სახ. სესხი 1902 წ.	99¼ მყიდ.
4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. . . . მამულთ ბანკისა .	94½
5% 1-ლ შინგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	471½ გაყ.
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	356 გაყ.
5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა. .	288 წვრ. გაყ.
5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ.	—
4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა.	—
5% ტფილ. საადგ.-მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ. . . .	89¼
4½% გირავნობ. ფურც. იმავე ბანკისა.	—
6% ქუთ. საადგ.-მამ. ბანკის გირ. ფურცლ.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	—
პაები ძმ. ნობელის სანავთო მრეწვ.	9,200 წვრ. გაყ.
აქციები „ „ „ „	—
„კასპიის ამხანაგობისა.	—
„ ბაქოს ნავთის საზოგად.	356 წვ. გაყ.
„ ა. ი. მანთაშევისა და ამხ.	187 წვ. გაყ.
ნავთის სამრეწვ. საზოგად. . .	—

ყოველ-დღიური საჭირო ცნობანი

რკინის გზის მატარებლების მიმოსვლა 18 აპრილიდგან 1902 წლისა

(საათი და წუთები უჩვენებენ ტფილისის დროს).

	მოდის ტფილ.	გადის ტფილ.
ბ ა ქ ო.		
სწრაფი მატარებელი (პარასკეობით) .	3 ს. 43 წ. დღ.	11 ს. 49 წ. დილ.
ფოსტის „ (ყოვ.-დღე)	4 ს. 54 წ. დღ.	1 ს. 34 წ. დღ.
სამგზავ. „ „	8 ს. 37 წ. დილ.	8 ს. 22 წ. საღ.
ბ ა თ უ მ ი.		
სწრაფი მატარებელი (ყოველ-დღე) .	10 ს. 2 წ. დილ.	7 ს. 43 წ. დილ.
ფოსტის „ „	12 ს. 32 წ. დღ.	6 ს. 7 წ. საღ.
სამგზავ. „ „	7 ს. 37 წ. საღ.	9 ს. 27 წ. დილ.
ყარსი და ალექსან.		
ფოსტის მატარებელი (ყოველ-დღე) . . .	7 ს. 18 წ. დილ.	9 ს. 28 წ. საღ.
სამგზავრო და საქონ. (მხოლოდ ალექსანდროპოლამდე და ალექსანდროპოლიდგან).	4 ს. 35 წ. დღ.	3 ს. 13 წ. დღ.
ბ ო რ ჯ ო მ ი.		
სამგზავრო მატარებელი (ყოველ-დღე).	9 ს. 57 წ. დილ.	6 ს. 22 წ. დილ
სამგზავრო „ „	6 ს. 53 წ. საღ.	2 ს. 28 წ. დღ.

სასამართლოს შესახები ცნობანი.

ტფილისის სამოსამართლო პალატის პირველ დეპარტამენტში დანიშნულია შემდეგ სამოქალაქო საქმეთა განხილვა:

19 ოკდომბრისთვის

1. კონსტანტინე იოსების ძესი და სვიმონ აბდუშელიშვილების დავა მამულის გაყიდვის შესახებ.
2. დავით ნოზაძის და ნიკოლოზ ბერუჩავას დავა.
3. ივანე ჯანჯღავასი და დავით ჯანჯღავას დავა.
4. სოლომონ ბუკშტეინის და ფარნაოზ ვაწაძის დავა.
5. პავლე ბუაძისა და გედევან ბახტაძის დავა.
6. ლუკასი და უტო ბახიათა დავა.

26 ოკდომბრისათვის

7. ნატალია დავითის ასულის კონტრიძისა და თევდორე ხუნდაძის დავა.
8. თ—დ ივანე მაჩაბლის, ბათაშვილის, თიგიშვილისა და თიბილაშვილის საქმე.
9. სოფრომ ვარაზაშვილისა და ერმინე ომანიძის დავა.
10. აკიფ-ეფენდი დერვიშ-ალა-ზადეს ობლების და ვასილ სიხარულიძის ობლების დავა.

განცხადება

ქუთაისში

ს. მ. ბ. თოფურიას

სამკურნალოში,

რომელიც იმყოფება **მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის** მფარველობის ქვეშ, 60 საწოლია შინაგან, ნერვებისა, საქირურგო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდების სენითა და სულით ავადმყოფთ სამკურნალო არ ღებულობს. (წ.)

1-ლ ენკენისთვიდგან ქ. ოზურგეთში გაიხსნა ოთხ-კლასიანი

ქალების სასწავლებელი

პროგიმნაზიის კურსით. თხოვნები მიიღება მთელის წლის განმავლობაში გიგო გოგიტიძის სახლში.

(10—6.—10)

იბეჭდება და გამოვა ნოემბერში 1903 წ.

საქართველოს კალენდარი

(ვ. გუნიასი),

გამოცემა „ქართ. შორის წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოებისა“.

კალენდარი დასურათებული იქნება მრავალის სურათით, როგორც ჩვენის, ისე უცხოეთის ცხოვრებიდან. კალენდარში მოთავსებული იქნება გარდა ჩვეულებრივ საკალენდრო ცნობებისა სალიტერატურო განყოფილებაც.

მიიღება განცხადება კალენდარში დასაბეჭდად შემდეგის პირობებით:

კალენდრის თავში მთელი გვერდი ღირს—10 მან., ½ გვერდი—6 მან.; კალენდრის ბოლოში: 1 გვერდი—7 მ., ½ გვერდი—4 მან., ¼ გვერდი—2 მ., მარტო ადრესის გამოცხადება—1 მ.

განცხადება მიიღება: ტფილისში—ქართ. შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიაში, ბათუმში—მ. ნიკოლაძესთან და სპ. ჭელიძესთან, ქუთაისში—ვ. ბეჟანიშვილთან და მიტ. ლალიძესთან.

ნოემბერშივე გამოვა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ გამოცემა

კედლის კალენდარი.

წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში იყიდება შემდეგი ახალი გამოცემული წიგნები:

	მ.	კ.
Краткій историческій очеркъ врачебнаго дѣла въ Грузіи, И. Алхазова . . .	„	30
Тексты и разысканія по армяно-грузинской филологіи IV т. Н. Марра . . .	3	.
Бальваръ и Іодасафъ, А. Хаханова	„	60
О грузинскомъ и русскомъ алфавитахъ съ педагогической точки зрѣнія Я. Гогебашвили	„	20
Неестественность „естественнаго“ метода въ дѣлѣ обученія языкамъ Л. Боцвадзе	„	10
Георгій XII, послѣдній царь Грузіи, Н. Дубровина .	1	»
Очерки по исторіи грузинской словесности, А. Хаханова в. III.	3	„
Замѣтки о городскомъ самоуправленіи на кавказѣ Г. Туманова . . . «	„	60
მეცნიერებისათვის წამებულნი, სურათებით, თარგმანი ა. ნაკაშიძისა .	1	„
ველურობა და განათლება, თარგ. ს. ჯუღელისა	„	30
ისტორია ბავშვის სულის მდგომარეობისა თარგმანი ა. ნატ. გიგაურისა	„	50
ბრძნული სიტყვები . . .	„	10
წმიდა აბო ტფილელი . :	„	30
დაზარდილი ტორმესელი, ესპანიური მოთხრობა, თარგმ. ბ. უმიკაშვილისა	„	10
ტფილისი, მ. ჯანაშვილისა .	„	50
თამარიანი, პოემა ს. გუგუნავასი .	„	50
ნამყენი ვაზით ვენახის მოშენებას . ქვარიანისა . . .	„	5
სურამის ციხე, დ. ჭონქაძისა . .	„	15
კონსტანტინე ბატონიშვილი, თ. ხუსკივაძისა		5
ზღაპრები სურათებით . . .	1	„
პაწია და ბუნგლია, სურათებით თარგმანი დ. ავალიანისა . . .	„	30
„შოთა რუსთაველი“ მ. ჯანაშვილისა .	„	40
Царица Тамара, მისივე . .	„	50

Дозволено цензурою. Тифлисъ, 17 Октября 1902 г. Типографія «Гутенбергъ» (кн. Гр. Н. Діасамидзе.) дворцовая, Груз. Дворянства. რედაქტორ-გამომცემელი ა. ი. სარაჯიშვილი.